აქართველოს რესპუბლიკა

ამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 12 (556) ხუთშაბათი, 21 იანვარი, 1993 წელი ფასი 3 მანეთი

სრული ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით

შეხვედრები ირანში

19 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის **ედუარდ შევარდნაძის** მეთაურობით თეირანს ჩავიდა. აეროპორტში სტუმარს დახვდნენ ირანის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ჰაშემი რაფსანჯანი**, საგარეო საქმეთა მინისტრი **ალი აქბარ ველაიათი**, ქვეყნის სხვა ოფიციალური პირები. მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში მისვლისთანავე ედუარდ შევარდნაძე შეხვდა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შესაბამისი დოკუმენტების მოსამზადებლად რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა ირანში. შემდეგ გაიმართა ჰაშემი რაფსანჯანისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა პირისპირ, რომლის დროსაც ედუარდ შევარდნაძის ვიზიტს ირანის პრეზიდენტმა ისტორიული უწოდა. ჩვენ, თქვა ჰაშემი რაფსანჯანიმ, დიდი ხანია ვოცნებობდით, რომ ირანის ჩრდილოეთით განლაგებულ ქვეყნებს დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ. ვიზიარებთ რა თქვენს სიხარულს თავისუფლების მოპოვებასთან დაკავშირებით, მზად ვართ რამდენიც არ უნდა დაგვიჯდეს, გადავიხადოთ ამის ფასი, რათა ოდნავ მაინც შეგიმსუბუქოთ თქვენი მდგომარეობა. ამაზე ჩვენ უკან არ დავიხევთ. თავად ირანის ინტერესები გვკარნახობს, რომ უკვე ამ ეტაპზე ვიყოთ თქვენი პარტნიორები. ის სირთულეები, რის წინაშეც საქართველო დგას დღეს, გვჯერა, რომ ჩქარა დაძლეული იქნება. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ამ დღეებში მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგებით ხელს შევუწყობთ ამ პროცესს.

ედუარდ შევარდნაძემ ულრმესი მადლობა გადაუხადა ირანის პრეზიდენტს იმ განსაკუთრებული სითბოსა და მხარდაჭერისათვის, რომელიც გამოიჩინა ირანის ხელმძღვანელობამ ჩვენი ქვეყნის მიმართ. დარწმუნებული ვარ, აღნიშნა მან, რომ ის, რასაც ამ მოლაპარაკების დროს მივაღწევთ, თანამშრომლობის მდიდარ საფუძველს შექმნის დიპლომატიურ ასპარეზზეც. ირანის ასეთ დამოკიდებულებას კავკასიისადმი და კერძოდ, საქართველოსადმი, დასძინა მან, ჩვენ განვიხილავთ, როგორც ჩვენში სტაბილურობის უზრუნველყოფის ძლიერ ფაქტორს. შეხვედრაზე განიხილეს როგორც ორმხრივი, ისე რეგიონალური პრობლემები. შეხვედრამ ჩაიარა სრული ურთიერთგაგებისა და ურთიერთთანამშრომლობის სულისკვეთებით.

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათებზე: შეხვედრა თეირანის აეროპორტში; ედუარდ შევარდნაძემ თავის რეზიდენციაში მიიღო ფერეიდნელი ქართველების წარმომადგენლები; ედუარდ შევარდნაძე და ჰაშემი რაფსანჯანი ირანის ისლამური რესპუბლიკის ლიდერთან იმამ ხამენეისთან მიღებისას; საქართველოს რესპუბლიკისა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის მეგობრული თანამშრომლობის შესახებ დეკლარაციის ხელმოწერის დროს.

საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტის სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

ნომერში

◎ ეროვნული მოძრაობა გამსახურდიამ გაგლიჯა. 2-3

◎ საქართველო ვალში არავის დარჩება. 4

ირანში ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის წინ

19 იანვარს დილით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე და მისი თანმხლები პირნი ოფიციალურ ვიზიტად გაფრინდნენ თეირანში. გაფრენის წინ მან თბილისის აეროპორტში პრესკონფერენცია გამართა ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ ვიზიტს საქართველოს, როგორც სუვერენულ და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მომავლისათვის, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. — ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა როგორც აღმოსავლეთის, ისევე დასავლეთის მრავალი სახელმწიფოს უდიდეს ინტერესს იწვევს. ამიტომ ჩვენ უნდა ვიპოვოთ ჩვენი ადგილი ამ ინტერესების ბალანსში. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, ირანს გარკვეული, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, ინტერესები აქვს კავკასიის რეგიონში, და მას შეუძლია გარკვეული როლი შეასრულოს კავკასიაში სიტუაციის მოწესრიგებაში.

— ჩემი აზრით, ირანი დაინტერესებულია ამ რეგიონში სტაბილურობით, — თქვა შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ. — ირანთან ჩვენს ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყება. ვიზიტს წინ უძღოდა დიდი და სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა. ჩვენ მოველით, რომ თეირანში მიღებული იქნება დეკლარაცია, ხელმოწერილი — საქართველო-ირანის შეთანხმებათა პაკეტი ეკონომიკურ, სამეცნიერო, კულტურულ და თანამშრომლობის სხვა სფეროებში.

შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ირანთან მრავალმხრივ ურთიერთობათა განვითარება „კი არ ეწინააღმდეგება, არამედ გულისხმობს საქართველოს კეთილმეზობლურ ურთიერთობას რუსეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ევროპის სახელმწიფოებთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა ქვეყნებთან".

— ჩვენ რთულ რეგიონში ვცხოვრობთ, აღნიშნა მან. მხედველობაში მაქვს კავკასიაც, ახლო და შუა აღმოსავლეთიც, და, საერთოდ, მსოფლიოში მრავალი მოვლენა მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრის დროს ჩვენ არ შეიძლება არ შევეხოთ ყველა ამ პრობლემას.

ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა ჟურნალისტების კითხვას რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების, სხვა შეთანხმებების რატიფიკაციის პერსპექტივებისა და ვადების შესახებ, და თქვა:

— დღეს მთავარი ამოცანაა დავამთავროთ ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების ხელმოსაწერად მომზადება. მათ შორის არის დიდი ხელშეკრულება, შეთანხმებანი საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების ყოფნის სტატუსისა და ვადების შესახებ, ეკონომიკური შეთანხმება და მთელი რიგი სხვა მორიგებანი. უნდა ითქვას, რომ ნეგატიური იმპულსები ჩვენგან კი არ წასულა, არამედ მოდის რუსეთის პარლამენტისაგან, როცა მან არსებითად აკრძალა მუშაობა ეკონომიკური შეთანხმების დადებისათვის და მოითხოვა, რომ თავდაპირველად მოგვარებულიყო აფხაზეთთან საქართველოს პრობლემები. ჩვენ ეს მივიჩნიეთ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის ცდად. ამ დღეებში სასარგებლო, კონსტრუქციული მოლაპარაკება გვქონდა რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელთან, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ბორის პასტუხოვთან. ვფიქრობ, შევძლებთ გადავლახოთ ჩვენს ურთიერთობაში წარმოქმნილი ყველა სიძნელე. ცუდია მხოლოდ, რომ რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის მოგვარება ყოვნდება.

ედუარდ შევარდნაძე უარყოფს ჭორებს თავისი გადადგომის შესახებ

რადიო „თავისუფლების" მიმომხილველმა ვლადიმერ კულისტიკოვმა რუსეთის ზოგიერთ დიპლომატიურ წრეზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ე. შევარდნაძე გადადგომას აპირებს.

18 იანვარს რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტთან გიორგი ფოფხაძესთან საუბარში, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა კატეგორიულად უარყო ეს ინფორმაცია, განაცხადა, რომ ამგვარი ნაბიჯისათვის მას არავითარი საფუძველი არა აქვს.

„სახელმწიფო მშენებლობის ამ ეტაპზე ამგვარი ნაბიჯი ჩემი მხრივ უპასუხისმგებლობა იქნებოდა", — განაცხადა ე. შევარდნაძემ.

საქართველოს ლიდერს მიაჩნია, რომ ამგვარი ინფორმაციის გავრცელება ხელსაყრელია რუსეთის გარკვეული კონსერვატიული ძალებისათვის, რომლებიც ცდილობენ ძველი დროის დაბრუნებას. „ეს ძალები განწირულნი არიან", — ხაზი გაუსვა ე. შევარდნაძემ.

ევროპარლამენტი დახმარებას გვთავაზობს

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროპარლამენტის კავშირის ყოფილ რესპუბლიკებთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარის ქალბატონ მაგდალენ ჰოფის წერილი. წერილში, კერძოდ, ნათქვამია, რომ, ევროპარლამენტმა, განიხილა რა საქართველოს შესახებ ცალკე კომისიის შექმნის საკითხი, გადაწყვიტა შექმნას სპეციალური ქვესექცია, რომელსაც დაევალება კავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობა.

ევროპარლამენტის მეთვალყურეთა ჯგუფის იმ წარმომადგენლების სახელით, რომლებიც საქართველოში 11 ოქტომბერს გამართულ არჩევნებს ესწრებოდნენ, ბატონმა უოლტიმერმა კომისიას მიაწოდა ამომწურავი ანგარიში. იგი ადასტურებს საერთო აზრს, რომ არჩევნები დემოკრატიული გზით გაიმართა. განსაკუთრებით არის აღნიშნული, რომ საჭიროა ევროპის თანამეგობრობამ სასწრაფო დახმარება გაუწიოს საქართველოს რესპუბლიკას.

გადაწყდა რეგულარულად მოიწვიონ საპარლამენტთაშორისო სხდომები, რომლებიც მონაცვლეობით გაიმართება თბილისში, ბრიუსელში ან სტრასბურგში.

წერილში გამოთქმულია რწმენა, რომ ეს აქცია დამატებით სტიმულს მისცემს ევროთანამეგობრობისა და საქართველოს რესპუბლიკის შემდგომ თანამშრომლობას, საქართველოში დაწყებულ ეკონომიკურ რეფორმათა წარმატებულ განხორციელებას.

საქართველოს რესპუბლიკისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ერთობლივი კომუნიკე

ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონ აქბარ ჰაშემი რაფსანჯანის მიწვევით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური და პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი ედუარდ შევარდნაძე მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური დელეგაციის მეთაურად 1993 წლის 19 იანვრიდან 20 იანვრამდე, შესაბამისად 1371 წლის 29 დეიდან 30 დეიმდე ჰიჯრით, ეწვია ირანის ისლამურ რესპუბლიკას. ვიზიტის მსვლელობაში ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს ჰქონდათ რამდენიმე შეხვედრა. მათ დაადასტურეს თავიანთი განზრახვა ითანამშრომლონ ორმხრივი, საერთაშორისო და რეგიონული პრობლემების ყველა სფეროში.

გამოხატეს რა თავიანთი შეშფოთება რეგიონული კონფლიქტების გამო, მხარეებმა გამოთქვეს რეგიონში ომისა და სისხლისღვრის შეწყვეტის, სადავო საკითხების პოლიტიკური მეთოდებით რეგულირების აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით, მიესალმა რა ირანის ისლამური რესპუბლიკის შუამავლურ ძალისხმევას ყარაბაღის კონფლიქტში, საქართველოს მხარემ გამოთქვა ამ რეგიონში სამხედრო მოქმედების შეწყვეტის აუცილებლობა. მან მოუწოდა კონფლიქტში მონაწილე მხარეებს სამხედრო ძალის უარყოფისა და თავის შეკავებისაკენ. საქართველოს მხარემ განაცხადა მზადყოფნა ამ სფეროში ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან თანამშრომლობის შესახებ. ორივე მხარემ განაცხადა, რომ საქართველოს რესპუბლიკისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ურთიერთობები შეიძლება იქცეს რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის დამყარების მნიშვნელოვან ფაქტორად.

მხარეები კატეგორიულად უარყოფენ რა საზღვრების ყოველგვარ ცვლილებებს, მხარს უჭერენ რეგიონის ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული მმართველობის შენარჩუნებას, მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებას.

ორივე მხარემ გამოთქვა მზადყოფნა რეგიონული და საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის საქმეში სერიოზული თანამშრომლობის შესახებ. მხარეებმა დაგმეს ცივი ომის დამთავრების შემდგომ პერიოდში ტერიტორიის მიტაცების, ეთნიკურ ნიადაგზე ანგარიშსწორების გაძლიერებული მცდელობები.

ორი ქვეყნის მეთაურებმა, აღნიშნეს რა კავკასიის რეგიონის დიდი მნიშვნელობა, გამოთქვეს რეგიონულ საკითხებში კონსულტაციების გაგრძელების საჭიროება და მიესალმნენ ერთმანეთის ინიციატივას მშვიდობისა და სიმშვიდის დამყარების საქმეში.

აღნიშნეს რა ორმხრივი ურთიერთობების დიდი მნიშვნელობა, მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მხარეებმა მოამზადეს და ხელი მოაწერეს დოკუმენტებს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ეკონომიკის, ვაჭრობის, სპორტის, ტურიზმის, მეცნიერებისა და კულტურის, სოფლის მეურნეობის, სამოქალაქო მშენებლობის დარგებში თანამშრომლობის შესახებ.

ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის ურთიერთობათა უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით მხარეებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს ორი ქვეყნის პარლამენტების თანამშრომლობის თაობაზე.

აღნიშნეს რა რეგიონული თანამშრომლობის დონის ზრდის მნიშვნელობა რეგიონის ქვეყნების განვითარებისა და აყვავების საქმეში, მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა საქონელბრუნვის ზრდის გზით სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების შესახებ.

აღნიშნეს რა ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიის რეგიონს შორის სატრანზიტო გზების უდიდესი მნიშვნელობა სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებისათვის, მხარეებმა დაადასტურეს თავიანთი განზრახვა ტრანსპორტის, საავტომობილო და საჰაერო მიმოსვლის დარგებში მიღწეული შეთანხმებების შესრულების თაობაზე.

მხარეებმა დასძინეს, რომ დეკლარაცია ირანის ისლამური რესპუბლიკისა (და საქართველოს რესპუბლიკის მეგობრული თანამშრომლობის პრინციპების შესახებ, რომელსაც მოაწერეს ხელი სახელმწიფოების მეთაურებმა, ქმნის მტკიცე საფუძველს და ნათელ პერსპექტივას ორი ქვეყნის მომავალი თანამშრომლობისათვის.

სახელითა უზენაესისაითა დეკლარაცია

საქართველოს რესპუბლიკასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის მეგობრული თანამშრომლობის პრინციპების შესახებ

ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის მისი აღმატებულების ბატონ აქბარ ჰაშემი რაფსანჯანის მიწვევით საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და პარლამენტის თავმჯდომარე მისი აღმატებულება ბატონი ედუარდ შევარდნაძე, მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური დელეგაციის სათავეში, 1993 წლის 19 იანვრიდან 20 იანვრამდე, შესაბამისად 1371 წლის 29 დეიდან 30 დეიმდე ჰიჯრით ოფიციალური ვიზიტით ეწვია ირანის ისლამურ რესპუბლიკას.

ვიზიტის დროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური და პარლამენტის თავმჯდომარე მისი აღმატებულება ბატონი ედუარდ შევარდნაძე ეწვია ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტს მის აღმატებულებას ბატონ ჰაშემი რაფსანჯანის და აწარმოა მასთან მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების დროს, რომელმაც ჩაიარა ურთიერთნდობისა და გაგების ვითარებაში, საქართველოს რესპუბლიკა და ირანის ისლამური რესპუბლიკა, რომლებიც შემდგომში მხარეებად იწოდებიან, მეგობრობისა და თანამშრომლობის პრინციპებზე დაყრდნობით საფუძველს უყრიან გრძელვადიან ურთიერთობას პოლიტიკის, ეკონომიკის, ვაჭრობის, მრეწველობის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში და, ამ მიზნით, აცხადებენ რა მხარეებს შორის ურთიერთობის ფარგლების შესახებ, მიაღწიეს შეთანხმებას ქვემოხსენებული პრინციპების თაობაზე:

მუხლი 1

მხარეები განავითარებენ ურთიერთობას როგორც ორი მეგობრული და თანასწორუფლებიანი ქვეყანა. მხარეები იმოქმედებენ ორივე ქვეყნის სუვერენიტეტისადმი პატივისცემის, ტერიტორიული მთლიანობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ძალის ან ძალის მუქარის გამოუყენებლობის, სადავო საკითხების მხოლოდ მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საერთაშორისო ნორმების დაცვის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი II

აღიარებენ რა დიდ მნიშვნელობას მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების და დიალოგს უმაღლეს დონეზე, მხარეები ხაზგასმით აღნიშნავენ ამ დიალოგის გაგრძელების აუცილებლობას მომავალში.

მუხლი III

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მჭიდროდ ითანამშრომლებენ საერთაშორისო ფორუმებსა და ორგანიზაციებში და თავიანთ ძალისხმევას მოახმარენ უსაფრთხოების უზრუნველყოფას და მშვიდობის დამყარებას რეგიონსა და მსოფლიოში.

მუხლი IV

ითვალისწინებენ რა ორივე მხარის სწრაფვას ყოფილი საბჭოთა კავშირის შე-

(დასასრული მე-2 გვ.).

პარლამენტის სხდომამ მუშაობა განაახლა

20 იანვარს საქართველოს პარლამენტის მორიგი სხდომა გაიმართა. ოთხშაბათობით, ტრადიციულად, ეწყობა სამინისტროთა, უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციის მოსმენა. ამჯერად პარლამენტართა წინაშე წარსდგა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ავთანდილ მარგიანი. მან ისაუბრა ყაზახეთში საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის შედეგებზე. როგორც ცნობილია, ამ ქვეყანაში იმყოფებოდა ჩვენი დელეგაცია ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად. ამ მოლაპარაკების უმთავრესი და საშური მიზანი იყო ჩვენი ქვეყნისათვის მეტად საჭირო პროდუქტით — ხორბლით მომარაგების საკითხის მოგვარება, ასევე ურთიერთხელსაყრელ პირობებში სხვა სამრეწველო და სასურსათო პროდუქტებით დაკმაყოფილება. ყაზახეთში მოლაპარაკება კარგ შედეგებს მოგვცემს და თუ საქართველოს მხარე პირს არ გატეხს — დაპირებულ პროდუქციას მიაწვდის ყაზახეთს, მაშინ ორივე სახელმწიფო შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ბატონმა ავთანდილ მარგიანმა უპასუხა პარლამენტართა მრავალ შეკითხვას.

სხდომამ გვიანობამდე გასტანა.

ნუხელ
ევიტყვეთ

ცნობები
ფხაზეთიდან

გორც აფხაზეთში გან-
ული საქართველოს
ლებული ძალების მთა-
შტაბის პრესცენტრი-
ვაცნობეს, 18 იანვარს
ოებით 14 და 30 წუ-
გულრიფშის რაიონის
მთიანი სოფლის სა-
ტერიტორიაზე ტექ-
ი უწესრიგობის გამო
ებით დაჯდა რუსე-
ვერტმფრენი „მი-8",
ლიც ეკუთვნის კრასნო-
სამოქალაქო ავიაცი-
მმართველოს.
ტმფრენის ბორტზე,
ლმაც საქართველოს ხე-
ფლების ნებართვის გა-
გადმოლახა საქართვე-
საზღვარი, იმყოფებო-
ფხაზეთის მინისტრთა
ს თავმჯდომარის მო-
ე ზურაბ ლაბახუა,
ველი ფოტოჟურნალი-
ვლადიმერ პერსიანოვი
ფხაზი ეროვნების სხვა
ენიმე პირი.
ტმფრენის ეკიპაჟმა რა-
საშუალებით ითხოვა
რება. საქართველოს
აღებული ძალების სა-
ობამ შემთხვევის ად-
გაგზავნა სამხედრო
ჯგუფი, რომელთაც
მფრენის ეკიპაჟი და
რები საკენიდან სო-
გადმოიყვანეს. აღნი-
ფაქტთან დაკავშირე-
მიმდინარეობს გამოძი-
რომელსაც აწარმოებს
ეთის პროკურატურა.
იანვარს კი საქართ-
ს ტერიტორიაზე კვლავ
ფრინდა ასევე რუსე-
უთვნილი მეორე ვერ-
ენი, რომელმაც ჯერ
ს ტერიტორიაზე სცა-
ჯდომა, შემდეგ კი იძუ-
ლი გახდა დამჯდარი-
ხუმის აეროპორტში.
ტმფრენის ჩამორჩე-
ებზებსაც იკვლევს
თის პროკურატურა.
შეეხება საბრძოლო
დებას, 19 იანვრის მა-
ე ისინი შემდეგნაი-
ანვითარდა: დილის სი-
ის შემდეგ 12 საათი-
ს მოწინააღმდეგემ ნაღ-
ყოცნების ცეცხლით
ო ჩვენი პოზიციების
მვა სოფელ შრომის
ოებში.
ჩირის რაიონში გრძე-
ოდა ათარა-კუტოლის
ოების გაწმენდა მოწი-
დეგის ჯგუფებისაგან,
ცია წარმატებით მიმ-
რეობს და რამდენიმე
ჯგუფი განადგურე-
იქნა.
ვე დღეს ოჩამჩირის
უბანში შემავალმა
ი რეაგირების კორ-
სპეცდანიშნულების
მა კარგად განხორციე-
ლი სამხედრო ოპერა-
შემდეგ სოფელ ბეს-
ბაში აფხაზთა ტყეობი-
გაათავისუფლა 38 ქა-
ლი მშვიდობიანი მოქა-
წინასწარი მონაცემე-
ბრძოლაში მოწინააღ-
ს მხრიდან დაიღუპა 6
ჩვენგან დაიჭრა 1 მე-
ო.
ამოს 20 საათსა და 30
მოწინააღმდეგის სა-
მოზრდილმა ჯგუფმა
სცადა მდინარე გუ-
გადმოლახვა და
პოზიციებზე შემოსვ-
მაგრამ კვლავ უშედე-

ოსებ გობეჯია.

აქურდეს
სპორტის
სასახლე

ფაქტი მოხდა 20 იან-
გამთენიისას, — აც-
ბს საქინფორმის კორეს-
ენტს დედაქალაქის
რო პოლიციის სამმარ-
ლოს პრესცენტრში.
ხვევის ადგილზე სას-
დ მივიდნენ ხაბურ-
რაიგანყოფილების
ლვანელობა და მთავა-
სამმართველოს ოპერა-
ი ჯგუფი. დამნაშავე-
იმალნენ.
დინარეობს გამოძიება.

მ დღეებში

ვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
ოვლენა
მენტარი

სახელითა უზენაესისათა

დეკლარაცია

საქართველოს რესპუბლიკასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის მეგობრული თანამშრომლობის პრინციპების შესახებ

(დასასრული).

მადგენლობაში შემავალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ხანგრძლივი და მეგობრული ურთიერთობების დამყარებისაკენ, მხარეები ერთობლივი ძალისხმევით ითანამშრომლებენ მსოფლიოს ამ რეგიონში პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების მიღწევისათვის.

მუხლი V

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები რეგულარულად, არანაკლებ წელიწადში ერთხელ, შეხვდებიან ერთმანეთს მოსალაპარაკებლად თბილისსა და თეირანში.

მუხლი VI

ითვალისწინებენ რა კავკასიის მეტად დიდ მნიშვნელობას რეგიონში უსაფრთხოების დაცვის საქმეში, მხარეები შეთანხმდნენ სისტემატურად აწარმოონ ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები ამ საკითხის ირგვლივ. ორივე მხარემ ხაზგასმით მიუთითა რეგიონის ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოების მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტის აუცილებლობაზე.

მუხლი VII

მხარეები შეთანხმდნენ, რომ თავიანთ ტერიტორიებზე აღკვეთავენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიან მათ ტერიტორიულ მთლიანობას და სახელმწიფო წყობას.

მუხლი VIII

საქართველოს რესპუბლიკასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაშლისა და განვითარების მიზნით მხარეები საჭიროდ თვლიან შეიქმნას საქართველო-ირანის ერთობლივი სავაჭრო-ეკონომიკური კომისია. მიღწეული შეთანხმების საფუძველზე პასუხისმგებელი მინისტრები რეგულარულად, არანაკლებ წელიწადში ერთხელ, შეხვდებიან ერთმანეთს თბილისსა და თეირანში და განიხილავენ კომისიის მუშაობის მსვლელობისა და ეფექტიანობის საკითხებს.

მუხლი IX

მხარეები სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას განახორციელებენ ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ვალდებულებების საფუძველზე. ამ თანამშრომლობის თაობაზე ცალკე იქნება დადებული ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

მუხლი X

ხაზგასმით აღნიშნავენ რა საქართველოს რესპუბლიკასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის მიღწეულ შეთანხმებათა მნიშვნელობას და ისეთ დარგებში თანამშრომლობის აუცილებლობას, როგორიცაა ნავთობი და გაზი, ეკონომიკა და ვაჭრობა, ტრანსპორტი, მრეწველობა, საბანკო საქმე, სოფლის მეურნეობა და მხარეებისათვის საინტერესო სხვა სფეროები, მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ გადადგან ქმედითი ნაბიჯები შესაბამისი ხელშეკრულებების ხელის მოწერის მიზნით.

მუხლი XI

მხარეების ნება განსაზღვრავს მჭიდრო და კონსტრუქციული თანამშრომლობის გზით შავი ზღვის, კასპიის ზღვისა და სპარსეთის ყურის დაკავშირების წანამძღვრების შექმნას და ორივე მხარის მიერ ამ მარშრუტის სატრანზიტო გამოყენების შესაძლებლობას.

მუხლი XII

მხედველობაში აქვს რა ევროპაში ირანის ბუნებრივი აირის მიწოდების გრძელვადიანი პროექტი, ქართული მხარე გამოთქვამს მზადყოფნას თავის ტერიტორიაზე გაზსადენის გატარების შესახებ. მხარეებს მიაჩნიათ, რომ ასეთი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს რეგიონში ეკონომიკურ ზრდას და, აგრეთვე, ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას.

მუხლი XIII

მხარეები გამოთქვამენ მოსაზრებას ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების, ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის დარგებში სისტემატური კონსულტაციების ჩატარების აუცილებლობისა და ამ სფეროებში მხარეების პოტენციალისა და შესაძლებლობების რაც შეიძლება სრულად გამოყენების თაობაზე, ამის გათვალისწინებით მხარეები მაქსიმალურად გააადვილებენ მათ ქვეყნებში საქმიანობის შესაძლებლობებს და უზრუნველყოფენ ამგვარ ერთობლივ პროექტებში ჩაბმული კომერსანტებისა და სპეციალისტებისათვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესაბამის პირობებს.

მუხლი XIV

მხარეები ერთმანეთს აღმოუჩენენ დახმარებას კულტურის, მეცნიერების, განათლების, ჯანდაცვისა და სანიტარიის, ლიტერატურის, პრესის, რადიო-ტელევიზიის, კინოს, ხელოვნების, ტურიზმის, სპორტის დარგებსა და საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩატარებაში. ამ ასპექტით მხარეები ხელს შეუწყობენ პირდაპირი კავშირების დამყარებას უნივერსიტეტებს, სამეცნიერო, კულტურულ და რელიგიურ ცენტრებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს და აგრეთვე იმ დაწესებულებებს შორის, რომელთა საქმიანობა უკავშირდება მეცნიერების, კულტურის და ხელოვნების სფეროებს.

მხარეები ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის საინფორმაციო ორგანოების თავისუფალ და ფართომასშტაბიან თანამშრომლობას ინფორმაციის გაცვლის, აგრეთვე ბეჭდვისა და პოლიგრაფიის საქმეში.

მხარეები ხელს შეუწყობენ სპარსული ენის სწავლებას საქართველოში და ქართული ენის სწავლებას ირანში.

მუხლი XV

მხარეები ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის ხალხებს შორის კონტაქტების დამყარებას, საზოგადოებრივი, რელიგიური, ახალგაზრდული, ქალთა ორგანიზაციებისა და ფონდების თანამშრომლობის გაშლას. ამასთან დაკავშირებით მხარეები ეცდებიან გაამარტივონ ვიზების გაცემის პროცედურა ორი ქვეყნის მოქალაქეთათვის, რომლებიც მიემგზავრებიან ტურისტული, სავაჭრო, სამეცნიერო ან კულტურული კონტაქტების ხაზით.

მუხლი XVI

მხარეები ითანამშრომლებენ ეკოლოგიის დარგში გამოცდილების ურთიერთგაზიარების, ბუნებრივი რესურსებისა და სათანადო ტექნოლოგიების გამოყენების, გარემოს დაცვისა და აღდგენის მიზნით. მხარეები შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურ დახმარებას გაუწევენ ერთმანეთს სტიქიური მოვლენების შედეგების აღსაკვეთად და შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას გარემოს დაცვის საერთაშორისო სტრატეგიის შემუშავების საქმეში.

მუხლი XVII

მხარეები გამოიჩენენ საჭირო ძალისხმევას პარლამენტებს შორის ურთიერთობათა გააქტიურებისათვის.

მუხლი XVIII

მხარეები აღნიშნავენ მათი შეხედულებების დამთხვევას განიარაღების პროცესის დაჩქარების, მასობრივი განადგურების იარაღზე კონტროლის დაწესების, მათი შემცირებისა და საბოლოოდ მოსპობის საკითხებზე.

მუხლი XIX

ორივე მხარე გამოთქვამს სურვილს, რომ სპარსეთის ყურე და შავი ზღვა გამოცხადდეს მშვიდობის და ბირთვული და ქიმიური იარაღისგან თავისუფალ ზონად. მხარეები მოუწოდებენ სანაპირო სახელმწიფოებს მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ რეგიონებში მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

მუხლი XX

მხარეები ითანამშრომლებენ და ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას დამნაშავეობასთან, ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდასთან, საჰაერო და საზღვაო მეკობრეობასთან, კულტურული ღირებულების მქონე ნივთების გატანასთან ბრძოლის საქმეში და ერთმანეთს აღმოუჩენენ დახმარებას სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის სფეროებში.

მუხლი XXI

მხარეები თანმიმდევრულად იბრძოლებენ რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ.

მუხლი XXII

ეს დეკლარაცია ძალაში შედის გაცვლის დღიდან. მისი რწმუნების ვადაა ათი წელი. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ წინამდებარე დეკლარაციის ვადის გაგრძელება ხდება ავტომატურად ხუთი წლით. თუ რომელიმე მხარე არ ისურვებს წინამდებარე დეკლარაციის მოქმედების ვადის გაგრძელებას ან მოისურვებს რომელიმე მუხლის დამატებას ან გაუქმებას, ექვსი თვით ადრე მისი ვადის დასრულებამდე წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს დიპლომატიური არხების საშუალებით.

ეს დეკლარაცია ხელმოწერილია ქ. თეირანში 1993 წლის 20 იანვარს, შესაბამისად 1371 წლის 30 დეის. ორ ეგზემპლარად ქართულ და სპარსულ ენებზე, ამასთან ორივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან
ე. შევარდნაძე.

ირანის ისლამური რესპუბლიკის მხრიდან
ჰ. რაფსანჯანი.

სრული ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით

(დასასრული).

შემდგომ გაფართოებული შემადგენლობით ორივე მხარის მინისტრთა მონაწილეობით ბატონებმა ჰაშემი რაფსანჯანიმ და ედუარდ შევარდნაძემ განიხილეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების საკითხთა მთელი კომპლექსი. განხილული იქნა დეკლარაცია მეგობრობის პრინციპებზე, სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულება, ხელშეკრულება სამი სახის ტრანსპორტის დარგში, დოკუმენტები კულტურის, მეცნიერების, სპორტის, ტურიზმისა და სხვა დარგებში. ბატონმა ჰაშემი რაფსანჯანიმ ქვეყნის შესაბამის ოფიციალურ პირთ მისცა დავალება დადებითად გადაწყვიტონ პირისპირ შეხვედრის დროს ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ დაყენებული საკითხი საქართველოსათვის ორი მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის გამოყოფის შესახებ.

საღამოს ბატონმა ჰაშემი რაფსანჯანიმ სტუმრის პატივსაცემად გამართა ვახშამი, რომელსაც წინ უძღვოდა ორი ქვეყნის მეთაურთა მეორე საუბარი პირისპირ, საუბარი ვახშმის დროსაც გაგრძელდა და მან გულითად ატმოსფეროში ჩაიარა. ბატონმა ჰაშემი რაფსანჯანიმ კმაყოფილებით მიიღო ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიპატიჟება საქართველოში. ამასთან მან განაცხადა, რომ მზადაა ჩამოვიდეს საქართველოში. როცა ამას საჭიროდ ჩათვლის ედუარდ შევარდნაძე. ამ ვიზიტის მოსამზადებლად საქართველოში ჩამოვა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ალი აქბარ ველაიეთი. მისი ვიზიტის დრო დამატებით იქნება შეთანხმებული.

ამავე დღეს ბატონი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ალი აქბარ ველაიეთის.

საღამოს ედუარდ შევარდნაძემ ვრცელი ინტერვიუ მისცა ირანის ტელევიზიას.

შეეხო რა საქართველო-ირანის ურთიერთობებს, სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ იგი ხედავს ძალიან დიდ პოტენციალს ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებაში, და არა მარტო ორ სახელმწიფოს, არამედ მთლიანად რეგიონის ქვეყნებს შორის. ამიტომ ყველაფერი უნდა იქნეს ამოქმედებული იმისათვის, რომ აქ არსებული პრობლემებისადმი საღმა მიდგომამ გაიმარჯვოს.

დაახასიათა რა სპარსეთის ყურეში ამჟამად შექმნილი მდგომარეობა, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს თავისთავზე, რომ თავისი მექანიზმების გამოყენებით იგი იქცეს მშვიდობის დაცვის ჭეშმარიტ გარანტად მსოფლიოში. ჩვენ ყველანი უნდა შევეგუოთ იმ მოთხოვნას, თქვა მან, რომ უშიშროების საბჭოს ყველა გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა იქნას შესრულებული. ცხადია, გაეროს მიდგომა ყველა ქვეყნისადმი ერთნაირად სამართლიანი უნდა იყოს. როცა ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება არ სრულდება, მაშინ საჭიროა ამოქმედდეს მისი მექანიზმი — საშტაბო კომიტეტი, რომელსაც, რა თქმა უნდა, რეალური ძალა უნდა გააჩნდეს. როდესაც ეს მექანიზმი ამოქმედდება, მაშინ უკვე უშიშროების საბჭოს აღარ დასჭირდება ამა თუ იმ ქვეყანას მიანდოს ღმსჯელის მისია.

კორესპონდენტის შეკითხვაზე ევროპაში გავრცელებული სტერეოტიპული აზრის თაობაზე ირანის შესახებ, ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა, რომ იგი ყოველთვის მომხრე იყო ყველა ქვეყნებს შორის ნორმალური დამოკიდებულებისა და ახლაც ამ პოზიციაზე დგას, განსაკუთრებით როდესაც საუბარია მსოფლიო თანამეგობრობის დამოკიდებულებაზე ისეთი მძლავრი პოტენციალის ქვეყანასთან, როგორიც ირანია. მე, დასძინა მან, მყარი საფუძველი გამაჩნია იმისათვის, რომ მჯეროდეს — უახლოეს ხანში ირანს მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან კარგი ურთიერთობა ექნება.

შეეხო რა დაშლილი საბჭოთა კავშირის რეანიმატორთა მცდელობას, სახელმწიფოს მეთაურმა გამორიცხა მათი ძალისხმევის წარმატება და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზი უბრალოა, ქვეყნები, რომლებიც იმპერიის შემადგენლობაში იყვნენ, არ შეიძლებოდა კიდევ დიდხანს დარჩენილიყვნენ ასეთ მდგომარეობაში. ერთი სიტყვით, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ამიტომ, მიუხედავად ძველის აღდგენაზე მეოცნებე ძალების არსებობისა, მათი ოცნება ოცნებად დარჩება.

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული დაპირისპირების შესაძლებელ საშიშროებაზე მსჯელობისას ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მათ შორის არ არის ჩადებული განსაკუთრებით ფეთქებადსაშიში წინააღმდეგობები. მისი აზრით, გაცილებით უფრო რთული მოსაგვარებელი იქნება პრობლემები ჩრდილოეთსა და სამხრეთს, ესე იგი სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის. ამას, როგორც ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, მსოფლიომ დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება. არსებობს კიდევ ორი პრობლემა, რომლებიც ასევე მოითხოვს მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღებას. ეს არის ექსტრემისტული სეპარატიზმის გავრცელების საშიშროება, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია, და რუსეთში სტაბილურობის შენარჩუნება.

ჩვენი ქვეყნის მომავალზე საუბრისას ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა: საქართველო, სადაც შეიქმნება ისეთი საზოგადოება, რომელიც შეისისხლხორცებს ყოველივე პროგრესულს, რაც კაცობრიობას დაუგროვებია. ჩამოდით ორიათასი წლისთვის საქართველოში და თქვენ ასეთ ქვეყანას ნახავთ, დასძინა მან.

20 იანვარს ბატონი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ირანის პარლამენტის სპიკერს **ნათეყ ნურის**. გაიმართა კონსტრუქციული საუბარი, რომელიც შეეხებოდა ორი ქვეყნის პარლამენტების თანამშრომლობის პერსპექტივებს. ხაზგასმით აღინიშნა პარლამენტარების რეგულარული შეხვედრების, საპარლამენტო მუშაობის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა. შეხვედრის დასასრულს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და ირანის პარლამენტის სპიკერმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს ორი სახელმწიფოს პარლამენტებს შორის ურთიერთობებს.

შედგა ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა ირანის ლიდერთან **იმამ ხამენეისთან**. შეხვედრამ გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა.

შემდგომ გაიმართა ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულებათა პაკეტის ხელმოწერის ცერემონია, რომელშიც ორი სახელმწიფოს მეთაურებთან ერთად მონაწილეობდნენ მინისტრები, უწყებათა ხელმძღვანელები. მხარეებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას საქართველოს რესპუბლიკასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის მეგობრული თანამშრომლობის პრინციპების შესახებ, აგრეთვე შეთანხმებებს სავაჭრო-ეკონომიკური, საზღვაო-საჰაერო, კავშირგაბმულობის, საბანკო ურთიერთობების, ტურიზმის, სპორტის, ბინათმშენებლობისა და სხვა დარგებში.

სამშობლოში გამომგზავრების წინ ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს რესპუბლიკის ვიცე პრემიერი **ზურაბ კერვალიშვილი** და საგარეო საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჩიკვაიძე** შეხვდნენ ირანში მცხოვრებ ქართველთა ერთ ჯგუფს. თანამემამულეებმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს მიართვეს ამაღელვებელი საჩუქარი — ხელით ნაქსოვი სპარსული ნოხი მასზე ქართული ასოებით ამოქარგული რუსთაველის უკვდავი სიტყვებით: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ის, რაც ამ დღეებში ირანში საქართველოს დელეგაციის ვიზიტის დროს გადაწყდა, სხვა ყველაფრის გარდა, იმასაც ნიშნავს, რომ ამიერიდან ხელს არაფერი შეგვიშლის ერთმანეთთან ახლოს ვიყოთ. ამ მხრივ ახალი ცხოვრება იწყება როგორც თქვენთვის, ისე საქართველოსათვის, დაასკვნა მან. შეხვედრაზე გამოითქვა სურვილი, რომ ირანში მცხოვრებმა ქართველებმა უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოში ბიზნესის განვითარების საქმეში, რაც დიდად წაადგება მათი დედასამშობლოს ინტერესებს.

იმავე დღეს, საღამოს საქართველოს ოფიციალური დელეგაცია ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით თბილისში დაბრუნდა.

* * *

თბილისის აეროპორტში ედუარდ შევარდნაძესა და მის თანხმლებ პირებს დახვდნენ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი **თენგიზ სიგუა**, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი **თენგიზ კიტოვანი**, რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯაბა იოსელიანი** და სხვა ოფიციალური პირნი.

ედუარდ შევარდნაძე:

საქართველო-ირანის ურთიერთობაში დაიწყო ახალი ერა

საქართველოსა და ირანის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა ისტორიაში დაიწყო ახალი ერა. ამას ადასტურებს საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის შედეგები ამ ქვეყანაში, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებთან თბილისის აეროპორტში.

— ჩვენ გვეპყრობოდნენ მეგობრულად და გულითადად, — თქვა მან. — შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არ შეიძლება არ ვთქვათ დეკლარაციაზე, რომლის პრინციპებითაც განვითარდება ჩვენი ურთიერთობა. არ დარჩა თითქმის არც ერთი სფერო, რომელშიც არ დაგვედო ხელშეკრულება. ეს ეხება როგორც სავაჭრო-ეკონომიკურ, ასევე კულტურის, მეცნიერების, ტრანსპორტის, გაზის მოწოდების, ჯანმრთელობის, ტურიზმის, სპორტის და სხვა საკითხებს. პრაქტიკულად ახალ ცხოვრებას იწყებს ჩვენი ურთიერთობა.

— რაც შეეხება კონფლიქტებს ჩვენს ქვეყანაში, — აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — მათ საღი შეხედულება აქვთ ამ საკითხებზე და ფრთხილ და ფაქიზ დამოკიდებულებას იჩენენ. გამოთქვეს რწმენა, რომ საქართველო მოუვლის ამ საკითხებს. ყველა ჩვენი შეხვედრა გლობალური მნიშვნელობის იყო. მეტად ამაღელვებლად ჩაიარა ფერეიდანელებთან შეხვედრამ. შედეგიანი აღმოჩნდა ჩვენი მინისტრების შეხვედრა თავის კოლეგებთან.

მინდა აღვნიშნო, — განაგრძო სახელმწიფოს მეთაურმა, — ჩვენი მოწვევა საქართველოში ირანის პრეზიდენტმა დიდი კმაყოფილებით მიიღო.

დასასრულს ედუარდ შევარდნაძემ დასძინა, რომ საქართველოს დელეგაციის ვიზიტს ირანის ისლამის რესპუბლიკაში როგორც პირდაპირი მნიშვნელობით, ისე სიმბოლურად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

რღვევა შენებისათვის...

დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში

უკვე ერთი წელი გავიდა დეკემბერ-იანვრის ცნობილი ამბებიდან, მაგრამ რატომღაც ამ ისტორიულ მოვლენას ჯერაც არ მისცემია ზუსტი შეფასება.

გამსახურდიას დღეს უკვე მცირერიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ აქტიური „ზოლოპები“ ამ მოვლენას „პუტჩად“ ნათლავენ, რაზეც მათ კვერს უკრავს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელიც, რაც კიდევ უფრო აბნევს ჩვენს საზოგადოებრიობას, ხალხს.

გიორგი ჭანტურიას წერილის „დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში“ — პირველი ნაწილი ჯერ კიდევ 1991 წლის ოქტომბერში დაიწერა. სულ ახლახან დასრულდა ამ წერილის მეორე ნაწილიც, სადაც მიმოხილულ როგორც დიქტატორული რეჟიმის დამხობის, ისე მისი შემდგომი პერიოდიც...

ვფიქრობთ, ქართველი მკითხველი ინტერე ით გაეცნობა ამ წერილის ორივე ნაწილს, მი უმეტეს, რომ ინტერვალი მათ შორის ერთ წელ არ აღემატება.

როგორ განვითარდა მოვლენები, ხომ არ გა ცრუვდა იმედები, ახდა თუ არა ავტორის პრო გნოზები? — პასუხი ამ კითხვებზე უდავოდ საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის.

დღეს გთავაზობთ ბატონ **გიორგი ჭანტურია** წერილის პირველ ნაწილს, რომელიც ციხის სა კანშია დაწერილი.

ნაწილი I

გიორგი ჭანტურია.

ყველაფერი 2 სექტემბერს დაიწყო, თუმც, 2 სექტემბრის მოვლენებს, ისევე როგორც ყველაფერს, თავისი წანამძღვრები ჰქონდა.

1988 წელს საქართველოში დაიწყო მასობრივი ეროვნული მოძრაობა, რომლის კულმინაციაც ეროვნულ-დემოკრატთა ნოემბრის აქცია გახლდათ, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მაშინ შეძლო კომუნისტური ბომონის საბოლოოდ დანგრევა და ადამიანთა დიდი ნაწილის შიშისაგან განთავისუფლებაც. ეს იყო ფსიქოლოგიური გამარჯვება, რასაც უაღრესად დადებითი შედეგები მოჰყვა. კომპარტიის შემდგომი რეაქცია იმპერიული ძალების ბოლო სერიოზული გაბრძოლება იყო, რაც 1989 წლის აპრილის მოვლენებმაც დაადასტურა. მიუხედავად სისხლისღვრისა, თავისუფლების მტრებმა ვერ შეძლეს უკვე გამოღვიძებული ხალხის შეშინება და კომუნისტთა ამ ფსიქოლოგიურ მარცხს მოჰყვა მათი პოლიტიკური კრახიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ნოემბრის, ასევე აპრილის გამოსვლები თავისი ბუნებით მხოლოდ ნაციონალისტური იყო და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ეროვნული მოძრაობის განვითარების იმ ეტაპზე მხოლოდ ამ იდეას შეეძლო სოციალურად და ეროვნულად დაჩაგრული ქართველი ხალხის დარაზმვა საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეროვნული მოძრაობის განვითარებას უნდა მოეტანა ჯანსაღი ნაციონალიზმისა და დემოკრატიის საყოველთაო და ყოვლისმომცველი იდეების სინთეზი. პოლიტიკურ ორგანიზაციათა დიდი ნაწილი ავიდა ამ სიმაღლემდე, მაგრამ ეროვნული მოძრაობის მეორე ფრთა, რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა, ერთ ადგილზე დარჩა და შიშველი, ხშირ შემთხვევაში, აგრესიული ნაციონალიზმითა და პოპულიზმით დააპირა ფონს გასვლა.

70-წლიანი მონობის შედეგად არც ისე რთული იყო კეთილშობილი იდეებითა და მაცდური ლოზუნგებით პოლიტიკურ კულტურას მოკლებული და დემოკრატიული განვითარების გზას ამცდარი ხალხის გაბრუება.

ამაოდ ცდილობენ დღეს დიქტატურის მეხოტბენი, დაამტკიცონ, რომ თითქოს ეროვნული მოძრაობა ე. წ. პარლამენტურ გზასთან დამოკიდებულების გამო გაიყო ორად. ეს სიცრუეა, რაზეც თვალნათლივ მეტყველებს ის, რომ ე. წ. შეურიგებლებიცა და ე. წ. ლიბერალებიც (რომლებიც მხოლოდ პარლამენტურ გზას აღიარებდნენ), ერთად იყვნენ და არიან წარმოდგენილნი ეროვნულ კონგრესში, რაც მათ თანამშრომლობასა და ერთობლივ მოქმედებას ხელს არ უშლის.

ეროვნული მოძრაობის გახლეჩა მოხდა გამსახურდიას მიერ ფორუმის დატოვების შემდეგ, რისი ნამდვილი მიზეზიც ფორუმის დემოკრატიულობა და მასში გაბატონებული ჯანსაღი ატმოსფერო იყო.

იმ ფაქტმა, რომ პოპულარულმა პოლიტიკურმა პარტიებმა (ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ) ოფიციალურ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს, ხოლო ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური ორგანიზაციები არ სარგებლობდნენ სათანადო პოპულარობით, განაპირობა „მრგვალი მაგიდისა“ და მისი ოდიოზური ლიდერის ტრიუმფალური გამარჯვება ოფიციალურ არჩევნებში. თავი და თავი მიზეზი ამ ტრიუმფისა კი მაინც იყო ხალხის დაბალი პოლიტიკური დონე, რომელმაც, ისე, რომ ბოლომდე არც გაუცნობიერებია, დიქტატურის ერთი ფორმა — ბოლშევიზმი გამსახურდიასეული ნაციონალ-ბოლშევიზმით შეცვალა.

დემოკრატიულმა ოპოზიციამ, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აერთიანებდა და აერთიანებს როგორც რადიკალურ, ასევე ლიბერალურ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ახალი ხელისუფლების მიერ ანტიდემოკრატიული პოლიტიკური კურსის პირველი ნიშნების გამოჩენისთანავე შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ახალ „მესიას“ და სამშობლოს თავისუფლების დიადი იდეით შენიღბულ ავანტიურისტებს.

მოსკოვის 19-21 აგვისტოს პუტჩის მარცხის შემდეგ ნათელი გახდა, რომ საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მოპოვების და ამ დამოუკიდებლობის დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების მიერ ცნობის რეალური შანსი გაუჩნდა. მხოლოდ ერთი სერიოზული ბარიერი არსებობდა ამ გზაზე: გამსახურდიას „სადამისეული“ საქართველოს დამოუკიდებლობას დასავლეთი არ ცნობდა და ევროპისა თუ ამერიკის შეერთებული შტატების მრავალმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ეს ოფიციალურად განაცხადა.

რუსეთში არსებულ იმპერიულ ძალებსაც, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდა გამსახურდიას დიქტატურის არსებობის ფაქტი საქართველოში: მათ გამსახურდიათი დასავლეთი დააშინეს და დაარწმუნეს კიდეც, რომ საქართველოს სახით მსოფლიო ან ახალ ერაყს, ან ახალ ჩრდილოეთ კორეას მიიღებდა, დემოკრატიული სამყარო, ბუნებრივია, ასეთი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იქნებოდა და იყო კიდეც.

დემოკრატიულ ოპოზიციას უნდა ეჩქარა, რომ ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციით ესარგებლა, გადაეყენებინა დიქტატორი, ხელი შეეწყო ხელისუფლების სათავეში დემოკრატიული ცენტრისტული ძალების მოსვლისათვის, რის შემდეგაც განხორციელდებოდა დემოკრატიული რეფორმები, დაჩქარდებოდა პრივატიზაციის პროცესი. ოპოზიციას უნდა ეჩქარა, რადგან თუ არსებული იმპერიის რღვევის ამ ტალღას ვერ გავყვებოდით, ნახევარი თუ ერთი წლის შემდეგ, შესაძლოა, ყველაფერი გვიან ყოფილიყო. ოპოზიციისათვის სრულიად ნათელი იყო ერთი რამ: თუ რუსეთში, როგორც ეს მრავალჯერ მომხდარა, ჭეშმარიტ დემოკრატიულ ძალებზე ფსევდოდემოკრატიული, იმპერიული ძალები გაიმარჯვებენ, ისინი, მოდერნიზებული იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის, ასევე დასავლეთიდან დიდი ფინანსური კრედიტების მიღების შემდეგ, არარად ჩააგდებდნენ ქართველი ხალხის თავისუფლებისაკენ სწრაფვას და ნებისმიერი ხერხებით შეეცდებოდნენ საქართველოს ახალი იმპერიის (თუ კონფედერაციის) საზღვრებში დატოვებას.

პოლიტიკოსის ფიქრები ორთაჭალის ციხეში,

1991 წლის ოქტომბერში.

ოპოზიციას უნდა ეჩქარა, საკუთარ ხალხამდე დაეყვანა დიქტატორის გადადგომისა და ხელისუფლების სათავეში დემოკრატიული ძალების მოსვლის აუცილებლობა. ოპოზიციის მოთხოვნის ხალხში სათანადო მხარდაჭერის მოპოვებისათვის კი გვარიანად „იზრუნა“ თავად ხელისუფლებამაც, რომელმაც გადადგა ისეთი კონკრეტული ნაბიჯები, რაც ხალხში რისხვისა და გაუგებრობის საფუძველი გახდა.

მართლაც, ხელისუფლებამ ბევრი შეცდომა დაუშვა 1991 წლის ზაფხულს. ხელისუფლების ზოგიერთი ნაბიჯი კი შეცდომაც აღარ იყო, მას პირდაპირ დანაშაულის კვალიფიკაცია მისცა თვით გამსახურდიას მრავალმა ყოფილმა მომხრემ (პრივატიზაციაზე, ფაქტიურად, უარის თქმა; საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელუხლებლად დატოვება; ყოვლად გაუმართლებელი საკადრო პოლიტიკა, პრემიერის— თენგიზ სიგუას გადადგომა და მისი პროტესტი, 19-21 აგვისტოს განხორციელებული პუტჩისადმი გამსახურდიას ლოიალური დამოკიდებულება... და ბოლოს, მშვიდობიანი მიტინგის დარბევის მცდელობა 2 სექტემბერს და სხვა.).

როგორც ცნობილია, ორშაბათობით ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კინოს სახლთან აწყობდა საინფორმაციო მიტინგებს. ივლის-აგვისტოში მიტინგები შეწყდა, მაგრამ ხალხს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ სექტემბრის პირველ ორშაბათს ტრადიციული მიტინგები განახლდებოდა.

2 სექტემბერს დაგეგმილი იყო ჩვეულებრივი მიტინგი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მიტინგზე უნდა გამოტანილიყო გამსახურდიას მაკომპრომეტირებელი მრავალი დოკუმენტი, რაც ცნობილი გახდა გამსახურდიასთვისაც. სწორედ ამიტომ უბრძანა გამსახურდიამ თავის შეიარაღებულ ლაქიებს, რადაც უნდა დაჯდომოდათ, მიტინგი ჩაეშალათ (ამას ადასტურებს 2 სექტემბერს, მიტინგამდე რამდენიმე საათით ადრე ედპ-ს შტაბბინაში შემდგარი საუბარი გიორგი ჭანტურიასა და თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსს შორის. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ხელისუფლების ბრძანებით ის არ დაუშვებდნენ მიტინგს და დარბევას მოერიდებოდნენ. უბარს ათამდე კაცი ესწრე და).

2 სექტემბერს მშვიდობიან მიტინგეებს „ომონმა“ ცეცხ დაუშინა, მაგრამ ეროვნულ-დ მოკრატებმა მაინც შეძლეს მ ინგის ჩატარება. სწორედ ამ ტინგით, ყველასათვის, შორის ეროვნულ-დემოკრა თათვისაც მოულოდნელად, წყო დემოკრატიული რევოლ ცია საქართველოში.

*

2 სექტემბრის ამბებმა ო ზიცია გააერთიანა, გააერთ არა ვიღაცის ან რაღაცის სი ლვილმა, როგორც ზოგიერთ სურთ წარმოადგინონ, არა სამშობლოს სიყვარულმა, დიქ ტურის რეალურად არსებო გაცნობიერებამ, თვითგადარჩ ის ინსტიქტმა.

2 სექტემბერს ღამითვე ყო ილი „იმელის“ შენობაში შ ოპოზიციურ პარტიათა გაერთ ნებული კრება, რომელმაც იღო რეზოლუცია. 3 სექტემბ დაიწყო კონსულტაციები სხვ ასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებ შორის, ხოლო 11 სექტემბ საქართველოში 27 პოლიტიკ რმა ორგანიზაციამ მიიღო ერთ ლივი განცხადება, სადაც ერ ნიშვნელოვნად იყო საუბ პრეზიდენტის გადადგომაზე.

ეროვნულ-დემოკრატიული რტიის შტაბ-ბინაში მოეწყო თვარი რადიოცენტრი, საიდ აც მთელი დღის განმავლობ ხალხი იღებდა ინფორმაციას.

ეროვნული დამოუკიდებლ ბის პარტიის შტაბ-ბინასთან (ფილი „იმელი“) გამართულ გრანდიოზულმა მიტინგმა ნათ ად აჩვენა, რომ ინტელიგენ ოპოზიციის მხარეს იყო და მაოდ აქტიურად იყო ჩაბმ დიქტატურის წინააღმდეგ ბრ ლაში.

ხელისუფლებამ თავის ნა ხერხს მიმართა და გამოღვი ული ხალხის ძალისხმევას „შ მითი კოლექტივები“ და „კო ქტიური წერილები“ დაუპირი ირა (მსგავსი მცდელობა ჰქონ კომუნისტურ ხელისუფლებას 1 წლის 23 ნოემბერს).

დაიწყო ხელმოწერების შ როვება ოპოზიციის ლიდერ დაპატიმრების მოთხოვნით. კამპანია ატარებდა უაღრეს ორგანიზებულ ხასიათს და მ ცენტრი, რა თქმა უნდა, უზე ესი საბჭოს წინ გაშლილ კა თან იყო.

რადიო-ტელევიზია ყოვე ლიურად დეზინფორმაციას რცელებდა საქართველოს მო ხლეობაში, მიმართავდა ცილ წამებასა და პირდაპირ შანტ აც კი.

საქართველოს დიქტატორი ზომამდეც კი მივიდა, რომ ერთ ერთ მიტინგზე ოპოზიციას ფ იკური ანგარიშსწორებით და უქრა და ხალხს ოპოზიციის გა ადგურებისაკენ მოუწოდა. ფაქტობრივად ოფიციალურ დ ნეზე სამოქალაქო ომის გამო ადებას ნიშნავდა, რომელ ოპოზიციამ სერიოზულად შეაფასა და არ მიიღო შესა მისი ზომები, თუ არ ჩავთვლ მთავრობის მიერ უკვე გადა ტილ რუსთაველის პროსპექტ ეროვნული დამოუკიდებლობ პარტიისა და ეროვნულ-დემოკ ტიული პარტიის ე. წ. სიმბოლ ბარიკადებს (დღეს პრეზიდენ უარყოფს საკუთარ სიტყვ ძმათამკვლელი ომის გაჩაღე მოთხოვნით, მაგრამ, ღვთის წ ლობით, მისი ეს სიტყვები მა იტოფონითაც და ვიდეოკამე ითაც ჩაწერილია. საერთო ურცხვი ტყუილი და უტიფრო ის თვისებებია, რომელსაც ართველოს „პრეზიდენტს“ ნამ ვილად ვერ წაართმევ).

ოპოზიცია გააძლიერა ხელი ფლებაში მომხდარმა ცვლილე ბმაც: გვარდიის დიდი ნაწი გამოვიდა პრეზიდენტის კონტრ ლიდან და გააკეთა უაღრეს ზნეობრივი განცხადება, რომ ხელისუფლება 2 სექტემბრის რბაროსულ აქციას გაიმეორებ და გამსახურდიას განცხადებ მებრ ძალისმიერი მეთოდებ შეეცდებოდა „ტახტის“ შენარჩ ნებას, კიტოვანს დაქვემდებარ ბული გვარდიის ნაწილები ხ ხის მხარეს დაიჭერდა.

ამ განცხადებამ გაანელა დ ტატორის ენთუზიაზმი და თუ

(დასასრული მე-8 გვ.).

დრო და პრეზიდენტები

ობიექტივი

ნაღდი ამერიკელის უნიკალურობა



სურათებზე:

ბილ კლინტონი.

ჰარი ტრუმენი.

ლინდონ ჯონსონი.

ჯორჯ ბუში.

ფრანკლინ რუზველტი.

რიჩარდ ნიქსონი.

ჯ ტეიმზი ვაშინგტონ- ცხოვრობს და გაზეთ ნიუ-იორკ ტაიმსის" ფო- სპონდენტად მუშაობს. ოგრაფია საკმაოდ ტიპი- მერიკელისათვის. დაიბადა ს ემიგრანტთა მრავა- ან ოჯახში. მისმა ულიმ- ზოვრობამ ჩაიარა პატარა ალ ბინაში ჯონ მარ- ევინის ქუჩაზე, აშშ მახლობლად.

რმა შემთხვევამ აალე- მი ფოტოკამერა და გა- პირველი საგაზეთო ი. მას შემდეგ ათი პრეზიდენტის ცხო- ჟამთააღმწერელი" გა-

რის უნიკალური და ჩქული ფოტორეპორ- ორჯ ტეიმზის ბედი. ამ- აც გრძნობს და ადასტ- ვისი ფოტოწიგნის წი- ობაში: „მე ვცდი- დამეჭირა და გამომე- ი წმინდა წყლის ადა- მახასიათებლები, ვინც ედგა ქვეყანას, ვინც ებდა, რომ სათავეში ოდა, და ვინც გარს აკ- ათ!"

იხსენებს: „იმ წლებში კაბინეტში 10 პრეზი- და კონგრესის ასობით იცვალა. მე სახეზე ვი- მ ყველა სენატორი, ი და კომიტეტის თა- , ზოგი მეგობრადაც ყველას კარგად ვი- ვინაიდან ფოტოობიექტი- ერთო ამბებს კაცს, არა- ლებს კიდეც.

ელარავინ გაიმეორებს ნტთა ჩემეულ სპონტა- ოთებს, ვინაიდან თეთრ უშიშროების სამსახურმა ოგი შეზღუდვები შემ- თეთრ სახლში ახალდა- რომ მქონდა მუშაო- რ მთელ საათს შემეძ- იდენტთან მარტო დავრჩენილიყავ. დღეს ასეთი რამ შეუძლებელია".

პირადად მე ამერიკელი ფოტოხელოვანი მაშინ გავიცანი, როდესაც ფოტორეპორტიორთა და ფოტორედაქტორთა ჯგუფის შემადგენლობაში ვიღებდი მონაწილეობას ამერიკელი და საბჭოთა ფოტოჟურნალისტების საერთაშორისო სემინარის მუშაობაში, რომლის ორგანიზატორი იყო საერთაშორისო ცენტრი **„ფრიდომ ფორუმი"**. ათ დღეს ვიცხოვრე ჯორჯის სახლში და მთელი ეს დღეები მის მუშაობას ვაკვირდებოდი. იგი სიამოვნებით მაცნობდა ქალაქს და მიჩვენებდა იმ ადგილებს, საიდანაც გადაეღო თავისი საყვარელი ფოტოსურათები. მასთან ერთად დავესწარი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის პრესკონფერენციას, დავდიოდი კაპიტოლიუმში.

გადაღების დროს ჯორჯი ძალზე მკვირცხლია, მუშაობს სწრაფად, მსუბუქად და გააზრებულად. მაგრამ ყველაზე უკეთ ოსტატს მაინც მისი ნამუშევრები წარმოაჩენს. ყურადღებით დააკვირდით ამ სურათებს და თქვენ თავად დააფასებთ ჯორჯ ტეიმზის სულის სიმდიდრეს და მრავალფეროვნებას.

პავლე კრივცოვი,
ფოტოკორესპონდენტი.
„ოგონიოკი".





არც ერთი კითხვა უპასუხოდ

● **გავიგეთ, რომ თბილისში მალე სერიულად გამოუშვებენ მინიტრაქტორს. გვაინტერესებს — რომელი წარმოება უშვებს, რა ეღირება და სად შეიძლება მისი შეძენა?**

გ. შატაიძე,
კასპი.

როგორც თბილისის ელექტროშემდუღებელი მოწყობილობის ქარხნის დირექტორმა ბატონმა თამაზ მხეიძემ და მთავარმა ინჟინერმა ბატონმა ზურაბ ცერცვაძემ გვაცნობეს, ქარხნის კოლექტივმა სერიულად აითვისა მოტოკულტივატორი მკ-92. უკვე გამოშვებულია საცდელი პარტია — 10 ცალი. მისი საორიენტაციო ფასია 35 ათასი მანეთი. აღნიშნულ მოტოკულტივატორზე გათვალისწინებულია ქალაქ პეტროპავლოვსკის მიერ გამოშვებული 2,5 ცხ. ძ. ძრავი, რომლის შემოტანაც დღეისათვის გაძნელებულია თანამეგობრობის ქვეყნებთან საბანკო ურთიერთობის გართულებასთან დაკავშირებით. იგი გაიყიდება როგორც ქარხანაში, ისე სავაჭრო ქსელში.

● **იქნებ გვიპასუხოთ, რა არის იმის მიზეზი, რომ ჩვენი აბონენტით (74) დარეკვა ძალიან ჭირს. ადრე, წინა წლებში, ყურმილს ავიღებდი თუ არა, ზუმერი ჩვეულებრივ გაისმოდა და საჭირო ნომერს ავკრეფდი. ახლა კი, ჩართვა ძალიან ჭირს. სულ დაკავებულის ზუმერს იძლევა, დიდხანს უნდა ვიწვალოთ, რომ დარეკვა შევძლოთ.**

მედიკო კრავეიშვილი.
თბილისი.

გვიპასუხებს ქ. თბილისის საწარმოო გაერთიანება სატელეფონო ქსელის უფროსი ბატონი **თეიმურაზ ღოღობერიძე.** სატელეფონო ავტომატური სადგური 74 ერთ-ერთი უძველესია ჩვენს დედაქალაქში. დიდიხანია მისი განახლებაა საჭირო, მაგრამ ჩვენი დღევანდელი მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, ვერ განხორციელდა.

პერსპექტივა კი ის გახლავთ, რომ ჩვენი სამინისტროს ხელმძღვანელობას ახალი სატელეფონო სადგურების მოწყობასთან დაკავშირებით მოლაპარაკება აქვს საზღვარგარეთის ფირმებთან. და თუ ეს დადებითად გადაწყდება, პირველ რიგში შევცვლით 74 და 31 ავტომატურ სატელეფონო სადგურებს.

რღვევა შენებისათვის...

(დასასრული)

მას ძალის გამოყენებაზე უარი არ უთქვამს, მაინც შეეცადა, რომ ეს ძალადობა უშუალოდ მისგან კი არა, მისი მხარდამჭერი „უპარტიო და უბრალო" მოქალაქეებისგან წამოსულიყო.

16 სექტემბერმა, ამ ნამდვილად ისტორიულმა დღემ, პროცესები დააჩქარა. ოპოზიციის მიტინგზე მოსულმა ზღვა ხალხმა (რომელიც თავისით, სხვისი დაძალების გარეშე მოვიდა რესპუბლიკის მოედანზე) და მთელი დემოკრატიული ოპოზიციის ერთად დგომამ ხელისუფლებას დაანახა, რომ თუ ის გადამწყვეტ ზომებს არ მიიღებდა, კატასტროფა მოახლოებული იყო.

...და ხელისუფლებამ დაიწყო „ზომების მიღება". 16 სექტემბერს ღამით უსანქციოდ დაგვაპატიმრეს მე და ირინა სარიშვილი (სინამდვილეში ეს იყო ჩემი ფიზიკური განადგურების მცდელობა). 17 სექტემბერს „აიყვანეს" გიორგი ხაინდრავა, მხოლოდ შემთხვევით გადაურჩა დაპატიმრებას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი მამუკა გიორგაძე* (დიდი ფიქრის შემდეგ გამსახურდიამ გაათავისუფლა ირინა სარიშვილი სასამართლო პროცესამდე).

პრეზიდენტმა ჩამოიყვანა დაქირავებული ინგუში მკვლელები ოპოზიციის ზოგიერთი სხვა ლიდერის ფიზიკურად განადგურებისათვის,

21-22 სექტემბერს ღამით ვითომდაც მშვიდობიანმა მომიტინგეებმა დაარბიეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბბინები, ბარიკადები აიღეს და ბარიკადების ადგილას ავტობუსები ჩააყენეს. მიყენებულ მატერიალურ ზარალს ვინ ჩივის, როდესაც დაჭრილი და დასახიჩრებული იქნა ათეულობით ადამიანი („მშვიდობიანმა" მომიტინგეებმა, რომელთა რიგებშიც გადამალული „ომონელები" იყვნენ, სპეციალურად, შეარჩიეს ღამე თავიანთი ბნელი ზრახვების სისრულეში მოსაყვანად).

ამ ძალადობამ გამოიწვია ეროვნული გვარდიის თბილისში ჩამოსვლა ოპოზიციისა და დემოკრატიის მომხრე ხალხის დაცვის მიზნით. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ იძულებითი ნაბიჯი, რომლის მიზანიც ოპოზიციონერთა ფიზიკური გადარჩენა იყო.

არაფერია ისე საშიში, როგორც ხელისუფლების სათავეში მყოფი მშიშარა კაცი. ასეთი პიროვნებისგან ნებისმიერი „სიურპრიზია" მოსალოდნელი... და დაიწყო საქართველოს პრეზიდენტმა ყოველდღიური მოწოდებანი რადიოთი და ტელევიზიით, რის თანახმადაც, ოპოზიცია თითქოს თავს ესხმოდა მთავრობის სახლს. მიმართავდა ძალადობას და საჭირო იყო ხალხის ჩამოსვლა რაიონებიდან „დემოკრატიული წესით და ხალხის დიდი უმრავლესობით არჩეული ერის მამის" დაცვის მიზნით.

რა თქმა უნდა, არანაირ თავდასხმებს ოპოზიციის მხრივ ადგილი არ ჰქონია. იყო 40-კაციანი ჯგუფის მცდელობა, მთავრობის სახლის კიბეების წინ გამოეცხადებინათ შიმშილობა პოლიტპატიმართა განთავისუფლების მოთხოვნით, მაგრამ „ომონმა" და გამსახურდიას პირადი დაცვის წევრებმა სასტიკად დაარბიეს ეს მცირერიცხოვანი ჯგუფი, რის შედეგადაც საპროტესტო შიმშილობის ბევრი მონაწილე, მათ შორის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესმდივანი ირინა სარიშვილი საავადმყოფოში მოხვდა.

იყო კიდევ ერთი „თავდასხმა", როდესაც 4-5 ოქტომბრის ღამეს ოპოზიციის მშვიდობიან დემონსტრაციას კვლავ ესროლეს და, რა თქმა უნდა, ეს სისხლისღვრაც ოპოზიციას გადააბრალეს (დასადგენია, თუ ვის მიერ და რა ვითარებაშია მოკლული ის ერთი პირი, რაც, რა თქმა უნდა, ოპოზიციას ბრალდება).

ისეთ გულისამრევ სიყალბესა და დეზინფორმაციას ჰქონდა ადგილი ამ „თავდასხმებთან" დაკავშირებით, რომ თვით პრეზიდენტის (და არა უზენაესი საბჭოსი, როგორც გაზეთს ეწერა) გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკაც" კი იძულებული გახდა სრული სიმართლე გამოექვეყნებინა მომხდართან დაკავშირებით, და როგორც ამბობენ, სწორედ ამ პუბლიკაციებსა და მოგვიანებით გამოღვიძებულ სინდისს შეეწირა გაზეთის აწ უკვე ყოფილი რედაქტორი.

გამსახურდიამ ძმა დაუპირისპირა ძმას, გაყო ოჯახები, ოპოზიციის გვერდით მდგარ თბილისს წინ დაუყენა პროვინციები... უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე კი პრეზიდენტის ავადმყოფური ფანტაზია იქამდე მივიდა, რომ საქართველოს დაღუპვაც კი „აწინასწარმეტყველებინა" დიქტატორს მისი გადადგომის შემთხვევაში, სადაც ოპოზიციის გამარჯვებას ქვეყნის ლიბანიზაცია და დანაწევრება მოჰყვებაო (აქ მინიშნებაც გააკეთა პრეზიდენტმა იმასთან დაკავშირებით, რომ თუ მას გადააყენებდნენ, ის კუთხე საიდანაც თვითონ ბრძანდება, თურმე გავიდოდა საქართველოს შემადგენლობიდან (?!).

...და დაიძრა შაქრითა და სხვა პროდუქტებით ნაყიდი ხალხი თბილისისაკენ, ზოგს გულწრფელად სწამდა, რომ პრეზიდენტს დაცვა ესაჭიროებოდა და მისი დაცვით საქართველოს იცავდა. მაგრამ დიდი ნაწილი მაინც ძალით იყო ჩამოყვანილი თბილისში რაიონების პრეფექტების მიერ და მრავალმა მათგანმა ისიც კი არ იცოდა, თუ რა ხდებოდა დედაქალაქში.

საჭირო იყო იმის კარგად გააზრება, თუ როგორი პოლიტიკური სურათი იყო შექმნილი საქართველოში და ვის რომელი ძალა უჭერდა მხარს. მით უმეტეს, პრეზიდენტის რეპრესიული პოლიტიკის შედეგად დამყარებული ავბედითი სიწყნარის მიუხედავად, არაფერი არ შეცვლილა და იგივე სურათი გვაქვს.

* * *

დავიწყოთ იმით, რომ დღეს საქართველოში არსებობს არა ორი დაპირისპირებული ძალა — პოზიცია-ოპოზიცია, არამედ სამი: ხელისუფლება, „ტაქტიკური სვლების" მოყვარული, მარად მოლოდინე და გაუბედავი „ცენტრი" და ოპოზიცია. ამ სამი პოლიტიკური ძალის შიგნითაც არ არსებობს ერთიანობა და ჰარმონია და თითოეული პოლიტიკური ალიანსი არაერთგვაროვანი და მრავალფეროვანი.

პრეზიდენტის ბანაკი

პრეზიდენტის ბანაკი შედგება თვად პრეზიდენტისაგან, რომელიც გარეგნულად ყველაზე მაღლა დგას და რომელსაც არამცთუ „მეორე", არამედ მეტნაკლებად მიახლოებული თანამებრძოლიც არ ჰყავს.

უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს პრეზიდენტის ოჯახი (და მასთან დაახლოებული პირები), რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს დიქტატორზე. ხშირ შემთხვევაში პრეზიდენტისა და მისი ოჯახის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ არის წინააღმდეგობებიც, რაც გასათვალისწინებელია.

პრეზიდენტის ბანაკში არიან ადამიანები, რომელთაც „ერთგული სულელები" შეგვიძლია ვუწოდოთ. ეს ადამიანები პოლიტიკურ კლიმატს არ ქმნიან, უბრალოდ, ხდება მათი ენერგიის ექსპლოატაცია დიქტატორის მიერ.

არიან „შეგნებულნიც", ანუ ახალი ბიუროკრატები, რომელთა ინტერესები მთლიანად დაკავშირებულია გამსახურდიასთან და დიქტატურის შენარჩუნება მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია.

არიან მერყევი პირები, რომლებიც ხელსაყრელ მომენტს უცდიან, რომ დროზე დატოვონ ჩასაძირად განწირული ხომალდი და „ქარტია-91"-ს ან ვინმე სხვას შეეკედლონ.

პრეზიდენტისა და მისი ოჯახის გარდა ამ ბანაკში უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს „აისბერგის წყალქვეშა ნაწილი", რომელიც დაინტერესებულია გამსახურდიას ხელისუფლების არსებობით, თუმცა უკვე დღესვე ამყარებს კონტაქტებს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან არსებულ· პრივილეგიების შენარჩუნების მიზნით.

ახლა ვნახოთ, ხალხის რა ნაწილი უჭერს მხარს ამ ბანაკს, ანუ ხელისუფლებას: ეს არის რაიონების ჩამორჩენილი ბოლშევიზოიდური ნაწილი (და არა „მთელი რაიონები" და „მთელი საქართველო", როგორც ზოგ-ზოგებს უყვართ თქმა), ასევე ფსიქიკამოშლილ თუ ეგზალტირებულ ადამიანთა ფანატიკური მასა (ადამიანები, რომელთაც 30 კილოგრამი შაქრითა და 10 კილოგრამი ხორცით ყიდულობენ).

რა მიზეზი აქვს ხელისუფლებას, მის მხარდამჭერ მასას სულ არ აინტერესებს. არ აინტერესებს იმიტომ, რომ ერთი ნაწილი ფანატიკურად ერთგულია პრეზიდენტისა და „ენდობა" მას, მეორე კი ნაყიდია ხელისუფლების მიერ და დიდ პოლიტიკაში გარკვევა საერთოდ არ სურს.

ხელისუფლების უშმარტი მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობა კი არა, არამედ ძალაუფლების შენარჩუნებაა, რაც ყველანაირი ოპოზიციის განადგურებას ითვალისწინებს.

დიქტატურა ყველგან, მათ შორის საქართველოშიც, ეყრდნობა სამხედრო ძალას. ჯერ ხდებოდა საკავშირო სამხედრო სტრუქტურების გამოყენება (მაგ. „მხედრიონის" განადგურება „ეროვნული" მთავრობისა და საოკუპაციო ჯარების მიერ), ახლა ხდება კრიმინალური ბანდებისა და დეკლასირებული ელემენტების სამხედრო ფორმირებებად ჩამოყალიბება, მათთვის სტატუსის მიცემა და უშუალოდ პრეზიდენტისადმი დაქვემდებარება.

ჯერ მაინც არასაკმარისად ძლიერია გამსახურდიას შეიარაღებული ძალა, რაც აიძულებს დიქტატორს, მისთვის არასასურველ დათმობებზე წავიდეს, მაგრამ ჯერ ერთი, ეს დათმობები უმნიშვნელოა, და მეორეც, ისინი ძალზე წააგავს 1978 წლის „ტაქტიკურ უკუსვლას", რადგან დიქტატურის განმტკიცების შემთხვევაში ამ კანონებსა და დადგენილებებს ისევე გადაახევენ თავზე, როგორც ეკატერინე II-მ გადახია თავზე რუსეთის თავადაზნაურობას მის მიერვე გაცემული თავად-აზნაურობის პრივილეგიების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ეს ტაქტიკური ხასიათის დათმობებიც არ ცვლის ამ ბანაკის ძირითად სტრატეგიულ ძალისმიერ-უკომპრომისო ხაზს, რასაც პრეზიდენტის ფიგურა და მისი ოდიოზურობა განაპირობებს.

როგორც ახლო პერიოდის მოვლენებმა გვიჩვენა, ამ ბანაკმა ამოწურა საკუთარი პოლიტიკური არსენალი, მისი მოქმედება არის ერთფეროვანი, რაც დიქტატორის პოპულარობის კიდევ უფრო დაცემას გამოიწვევს (ამას ხელს შეუწყობს სხვა ობიექტური პროცესები).

„ცენტრი"

„ცენტრში" გაერთიანებული არიან გამსახურდიას ყოფილი თანამებრძოლები, რომელთაგან ზოგიერთი პატიოსნად დადგა სიმართლის მხარეს, ზოგიერთი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოვებს ჩასაძირად განწირულ ხომალდს.

„ცენტრისტულ" ძალებს მივაკუთვნებდით „ქარტია-91"-ს, თავისი „ინტელიგენტური ზიგზაგებით", ასევე პატიოსან, მაგრამ პოლიტიკურად ჯერჯერობით „გაუმართავ" „მერაბ კოსტავას საზოგადოებას".

თენგიზ კიტოვანის დაქვემდებარებაში მყოფი გვარდიის ნაწილები უფრო ახლოს სწორედ „ცენტრთან" არიან, ვიდრე ოპოზიციასთან.

ამ ძალების პოლიტიკური გავლენა უაღრესად უმნიშვნელოა და თვით უზენაეს საბჭოშიც კი არ ძალუძთ მათ არამცთუ პოლიტიკური კლიმატის შექმნა, არამედ ხელისუფლებისადმი სერიოზული დაპირისპირებაც კი.

სამაგიეროდ, მნიშვნელოვანია „ცენტრის" სამხედრო ძალები, რომელთაც გადამწყვეტი როლიც კი შეუძლიათ შეასრულონ ყველაზე კრიზისულ მომენტში. „ცენტრი" ყველაზე მეტად ხასიათდება არაერთგვაროვნებით, „ცენტრის" მიზანია ლავირების გზით, შეურიგებელთა ხელით გამსახურდიას განადგურება და პარალელურად ოპოზიციის განადგურება თუ არა, მისი კომპრომეტირება მაინც.

„ცენტრი" არ მოითხოვს პრეზიდენტის გადადგომას, იტოვებს რა უკანდასახევ გზას.

„ცენტრი" თვლის, რომ ძლიერი პიროვნებების არენიდან წასვლის შემდეგ მათ მიეცემათ პოლიტიკური კლიმატის შექმნის საშუალება.

„ოპოზიცია"

ოპოზიცია თავის რიგებში აერთიანებს სამი ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეებსა და ორგანიზაციებს: ზომიერი საპარლამენტო ოპოზიცია (ნოდარ ნათაძე, ელდარ შენგელაია და სხვ.), ზომიერი არასაპარლამენტო ოპოზიცია (ირაკლი შენგელაია, მიხეილ ნანეიშვილი..., ასევე, ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი) და შეურიგებელი ოპოზიცია (ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია...).

ზომიერი საპარლამენტო, ისევე როგორც არასაპარლამენტო ოპოზიცია მოითხოვს პრეზიდენტის გადადგომას და გულწრფელად იბრძვის დემოკრატიისათვის, თუმცა ბოლომდე არც შეურიგებლობას ენდობა.

შეურიგებელი ოპოზიცია მოითხოვს პრეზიდენტის გადადგომას და იბრძვის დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველოსათვის, ანექსიის შედეგების ლიკვიდაციამდე არ აპირებს ხელისუფლების სათავეში მოსვლას (თუნდაც ეს გამორიცხავს გამსახურდიას მიერ ნაქადაგებ შიდაოპოზიციურ ომს, რომელიც, თურმე, პრეზიდენტის გადადგომას მოჰყვება).

ოპოზიციას მხარს უჭერს თბილისი, რაიონების ინტელიგენცია და სტუდენტი ახალგაზრდობა. ეს მხარდაჭერა ახლო მომავალში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს და გაფართოვდეს.

გამსახურდიას მომხრეთაგან განსხვავებით ოპოზიციის მხარდამჭერებმა იციან, თუ ვის და რატომ უჭერენ მხარს.

* * *

თავისუფალი არჩევნები სრულებითაც არ ნიშნავს დემოკრატიას, რამეთუ თავისუფალი არჩევნებისათვის ხალხი უნდა მომზადდეს, რომ არასწორი არჩევანი არ გააკეთოს — თავისუფალი არჩევნების წინაპირობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დემონოპოლიზაცია და ადამიანის მინიმალური უფლებების დაცვაა. ამ დემოკრატიული „მინიმუმის" გარეშე თავისუფალ არჩევნებზე ლაპარაკი ზედმეტია.

დემოკრატიის გარეშე ჩატარებულმა თავისუფალმა არჩევნებმა გერმანიაში ხელისუფლების სათავეში ჰიტლერი მოიყვანა (ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ჰომეინი ცოცხალია და ირანში მრავალპარტიული არჩევნები ტარდება. ვინ გაიმარჯვებდა ამ არჩევნებში: ფუნდამენტალისტები ჰომეინის ხელმძღვანელობით თუ დემოკრატები? რა თქმა უნდა, ჰომეინი, რაც ირანელი ხალხის არჩევანის სასარგებლოდ არ მეტყველებს).

სხვა თუ არაფერი, ვითომდაც 87 პროცენტით არჩეულმა პრეზიდენტმა ის არ უნდა იკადროს, რომ შეუიარაღებელ მის მიერვე დარბეულ-დაწიოკებულ და რეპრესირებულ ოპოზიციონერებს „პუტჩისტები" უწოდოს. შეიარაღების მომენტი ოპოზიციის სამართლებრივ ბრძოლაში „მრგვალმა მაგიდამ" შემოიტანა (ვიმეორებთ, რომ კიტოვანი არ დამდგარა ოპოზიციის გვერდით. ის თბილისში მხოლოდ მაშინ ჩამოვიდა, როდესაც პრეზიდენტის მუქარა საქმედ იქცა და საქართველოს სისხლისღვრის საფრთხე დაემუქრა. უფრო მეტიც, კიტოვანის მიერ თბილისის დატოვება, ზღვაზე ასვლა და დემოკრატიული ძალების ბედის ანაბარად მიტოვება, ჩვენთვის გაუგებარი და მიუღებელია).

ყველამ უნდა შეიგნოს, რომ გამსახურდიას საქართველოს დამოუკიდებლობა არ უწერია. ცივილიზებული ქვეყნები არამცთუ არ ცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას, არამედ ხელსაც არ გამოგვიწვდიან.

ადრეც გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა დემოკრატიაზე გადის და მხოლოდ დემოკრატიულ საქართველოს ცნობს განთლებული მსოფლიო (რუსეთის იმპერიულ ძალებსაც „უხერხულ" მდგომარეობაში ჩავაგდებთ და გამსახურდიას ფაქტორით აღარ გავამართლებინებთ საქართველოს იმპერიის შემადგენლობაში შენარჩუნებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს).

შესაძლოა (ისე, ღმერთმა არ ქნას), დემოკრატიული რევოლუციის ეს პირველი ტალღა უკუიქცეს, რეაქციის თვეებმა დაისადგუროს, მაგრამ ეს ისევე ხანმოკლე იქნება, როგორც მანძილი 1988 წლის ნოემბრისა და 1989 წლის აპრილს შორის. სავსებით შესაძლებელია, რომ ყველაფერი უფრო ადრე მორჩეს, რამეთუ დრო არ ითმენს და ქართველობამ დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიული შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას.

თავისუფლება აუცილებლად გაიმარჯვებს და დიქტატორიც სამარცხვინოდ დატოვებს პოლიტიკურ ასპარეზს, მაგრამ ღმერთმა ჰქნას, რომ გვიან არ იყოს და დამოუკიდებლობის მატარებელი უკვე გასული არ დაგვხვდეს ჩვენი სადგურიდან.

---

* მოგვიანებით მამუკა გიორგაძე მაინც დააპატიმრეს — ავტ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

დროებითი ნისტრაციის მეთაურის აზრით

ლებს — ჩრდილოეთ და ინგუშეთს შორის კონფლიქტური სიტ- გამოსვლის გზების ნელესი ამოცანაა, ც დროებითმა ადმინი- ამ უნდა გადაწყვიტოს ფედერაციაში შემავა- ლოეთ კავკასიის ამ ესპუბლიკის ტერიტორ-

ვის აზრით, რეგიონ- ერთი უმთავრესი პრო- ლტოლვილები. ინგუ- ობათი რიცხვი 62 ათასს ა. ეს რესპუბლიკის ობის მესამედია — თ ოსეთში — 6900

ის, რომ დაიწყოს ის შემდეგ დაზარა- ადამიანთა განსახლებ- სი, მიაჩნია დროებ- ინისტრაციის მეთაურს, ფართო მასშტაბის კება ორი ხალხის გენლებს შორის". მოლაპარაკებაზე აუცი- უნდა იყოს წარმო- ასეთი მოლაპარაკე- გათვალისწინებით უნ- ოს, რომ ნებისმიერი ლება მხოლოდ 50 თუ დააკმაყოფი- ლაპარაკების მონაწ- ებს. და ამისათვის ვიყოთ. პირადად მაქვს გადაწყვეტი- 2 ვარიანტი, მათ ს, ჩემი აზრით, ორი- ათვის მისაღები ვა- ", — აღნიშნა გრიგ- ენკოვმა.

თი ადმინისტრაცია სებსა და ინგუშებს იარაღებულ შეტაკებ- ებიდან თითქმის სამი ეგ.

ნიხილეს ერაყის იტუაცია

ს გარშემო სიტუაციის დულებათა სრული გამოვლინდა სამშაბ- ს ბრიტანეთის პრე- ტრის ჯ. მეიჯორისა ის შეერთებული შტა- დ არჩეული პრეზი- ილ კლინტონის სა- საუბრის დროს.

გამოაცხადეს, ძირით- ხი ეხებოდა ერაყის ის სადამ ჰუსეინის წინადადებას ან- კოალიციაში მო- სადმი ცეცხლის შე- სახებ.

ი აპირებს ჰუსეინ- ივას მეტად ფრთხი- დოს, რადგან ითვა- ახლო აღმოსავლე- რის განუჭვრეტელ ხა- იტანეთს მიაჩნია, ჰუსეინი უნდა და- გაერთიანებული რგანიზაციის გადაწყვეტილებებს და შესრულოს უშიშროების საბჭოს ყველა რეზოლუცია, ამ მიზნით მასზე მომავალშიც მოახდენენ მკაცრ ზეგავლენას.

პირველად გაეროს პრაქტიკაში

დემილიტარიზებულ ზონაში ერაყის მიერ ერაყ-ქუვეითის საზღვრის დარღვევის თავიდან აცილებისათვის საჭიროა იქ გაიგზავნოს შეიარაღებული კონტინგენტი დაახლოებით 4 ათასი სამხედრო მოსამსახურის შემადგენლობით.

ეს ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებაში, რომელსაც იხილავენ უშიშროების საბჭოს კონსულტაციებზე.

ერაყ-ქუვეითის საზღვრის დემილიტარიზებულ ზონაში დარღვევათა თავიდან აცილებისათვის, საჭიროა სასწრაფოდ განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის ერაყ-ქუვეითის მისიის შემადგენლობა. მისიაში შემავალი შეუიარაღებელი სამხედრო მეთვალყურენი უნდა შეიცვალოს 3645 კაციანი შეიარაღებული სამხედრო კონტინგენტით.

მისიის სამხედრო მოსამსახურეებს ნება მიეცემათ გამოიყენონ იარაღი თავდაცვის მიზნით, „რათა თავიდან აიცილონ შეიარაღებული ცდები, ხელი შეუშალონ მისიას შეასრულოს უშიშროების საბჭოს მიერ მინიჭებული მანდატი".

ყურადსაღები გამოკვლევა

1993 წლის დამდეგისათვის მსოფლიოს 75 სახელმწიფო „თავისუფალია". კიდევ 72 — „ნაწილობრივ თავისუფალი" და 39— „არათავისუფალი". ასეთი შეფასება მისცა მათ ამერიკის საზოგადოებრივმა კვლევითმა ორგანიზაციამ „ფრიდომ ფორუმმა". რუსეთი „ნაწილობრივ თავისუფალთა" კატეგორიას მიეკუთვნა. თავისუფლების დონის განსაზღვრისას გათვალისწინებული იყო ორი ძირითადი კრიტერიუმი: პოლიტიკური უფლებების სისრულე, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს თავისუფლად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ პროცესებში. და მოქალაქეობრივი თავისუფლებანი.

დაშლილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე სახელმწიფოთა უმრავლესობა „ფრიდომ ფორუმის" ანგარიშში „ნაწილობრივ თავისუფალთა" კატეგორიას მიეკუთვნა. გამონაკლისს წარმოადგენს ლიტვა, რომელმაც წელს შეინარჩუნა თავისუფალი სახელმწიფოს სტატუსი. ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი, რომლებიც „ნაწილობრივ თავისუფალი" და გადაყვანილი არიან „არათავისუფალთა კატეგორიაში. აგრეთვე ლატვია და ესტონეთი, რომლებიც „თავისუფალიდან" კვლავ „ნაწილობრივ თავისუფლები" გახდნენ.

შეხვედრების სერია დაიწყო

ბელარუსიის დედაქალაქ მინსკში 20 იანვარს მუშაობას შეუდგა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომა. რუსეთის მხრივ მონაწილეობს ანდრია კოზირევი. საგარეო პოლიტიკური უწყებების ხელმძღვანელები განიხილავენ დოკუმენტების მთელ პაკეტს, რომელიც 22 იანვარს უნდა განიხილოს თანამეგობრობის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა. მთავარი საკითხებია მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიება და თანამეგობრობის წესდების დამტკიცება. მაგრამ ამ უმაღლესი დონის შეხვედრის წინ თანამეგობრობის მთელი რიგი ქვეყნების მეთაურებმა, მათ შორის, უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა განაცხადეს, რომ მინსკში ხელს არ მოაწერენ დოკუმენტს იმ სახით, როგორითაც იგი წარმოადგინეს. მიუხედავად ამისა, რუსეთის ვიცე-პრემიერმა ალექსანდრე შოხინმა თქვა, რომ არავითარი დრამატული მოვლენები მინსკის შეხვედრაზე არ არის მოსალოდნელი, რომ ეს დოკუმენტი ხელის მოსაწერად ერთი წლის განმავლობაში დარჩება ძალაში. მისი აზრით, რუსეთს შეუძლია არ მოაწეროს ხელი წესდებას, ვიდრე ისე არ დაიხვეწება, რომ ყველასათვის მისაღები გახდება, რადიოსადგურ „თავისუფლებას" ცნობით, ყაზახეთის პრეზიდენტი ნორსულთან ნაზარბაევი მზად არის ახლავე მოაწეროს ხელი წესდებას.

21 იანვარს მინსკში გაიმართება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თავდაცვის მინისტრების შეხვედრა. მინსკში უკვე ჩავიდა საფრანგეთიდან დაბრუნებული რუსეთის თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი.

პრეზიდენტის მიწვევით

საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის მიწვევით მოლდავეთის პრეზიდენტი მირჩა სნეგური საფრანგეთს ეწვევა. ეს უკვე ოფიციალურად გამოაცხადეს კიშინიოვში. ვიზიტის დროს ხელს მოაწერენ ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, აგრეთვე სხვა დოკუმენტებს.

მოლაპარაკება მოსკოვში

მოსკოვში გაიმართა რუსეთისა და მონღოლეთის პრეზიდენტების ელცინისა და ოჩირბატის მოლაპარაკება. ოფიციალური ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, აგრეთვე, სავაჭრო და საბაჟო შეთანხმებებს. მონღოლეთის საქონელბრუნვის 50 პროცენტი რუსეთზე მოდის.

წერილების ექო

„რამდენიც კაცია, იმდენი აზრია"

„საქართველოს რესპუბლიკა", № 257.

რედაქციას უპასუხებს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე თ. ნათიძე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის პასუხი ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ინსპექციის წერილზე, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" № 238-ში რუბრიკით „რამდენიც კაცია, იმდენი აზრია".

წერილი ეხებოდა ამავე რაიონის სოფელ სეფიეთის ეკლესიიდან სპილენძის სახურავის მოპარვის ფაქტს. პრესცენტრის პასუხში ვკითხულობთ: „ჩვენ დავუკავშირდით აბაშის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას და შევიტყვეთ, რომ ეკლესია გადახურული იყო არა სპილენძის, არამედ რკინის ფურცლებით. ბოროტმოქმედების მიერ გატაცებული 4 ფურცელი უკვე შეიცვალა ახლით".

გაცნობებთ, რომ აბაშის რაიონის სოფელ სეფიეთის ეკლესია მთლიანად გადახურული იყო სპილენძითა და 1992 წლის 16 სექტემბერს ბოროტმოქმედებმა მოიპარეს ეკლესიის სახურავიდან ოცდაათამდე სპილენძის ფურცელი (და არა რკინის ფურცელი). XVI საუკუნის მხატვრობა რომ არ დაზიანებულიყო, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო იძულებული გახდა ეკლესიის თავგადახდილი ნაწილი დროებით გადაეხურა შიფერით. სამწუხაროდ, ბოროტმოქმედთა დაუსჯელობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ 14 დეკემბერს კვლავ მოხდა სეფიეთის ეკლესიის სახურავიდან სპილენძის 14 ფურცლის გატაცება.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა პრესცენტრი ვალდებული იყო, ვიდრე ძეგლთა დაცვის სპეციალური სამსახურის — რესპუბლიკური ინსპექციის ინფორმაციას უარყოფდა, ადგილზე შეემოწმებინა ზემოთ აღნიშნული ფაქტი და არ დაყრდნობოდა საეჭვო ზეპირ ინფორმაციას.

მოვითხოვთ საკითხის გადასინჯვას, დამნაშავეების გამოვლენას და სათანადო რეაგირებას.

* * *

ამ წერილის გამო რედაქციამ მიიღო აგრეთვე აბაშის კულტურის განყოფილების გამგის ზ. თორდიას და ამავე განყოფილების ძეგლთა დაცვის ინსპექტორის ზ. ბოკერიას პასუხი, რომელშიც გვატყობინებენ:

1992 წლის 16 სექტემბერს, ღამით ბოროტმოქმედთა მიერ გადახდილ და მოპარულ იქნა სეფიეთის წმინდა ნინოს ეკლესიის სახურავის სპილენძის ოცდაათამდე ფურცელი. ანალოგიური ქმედობა განმეორდა 14 დეკემბერსაც. ამჯერად მოიპარეს სპილენძის 14 ფურცელი. შინაგან საქმეთა აბაშის რაიონულ განყოფილებას სექტემბერშიც ეცნობა ეკლესიის გაძარცვის შესახებ, მაგრამ შეტყობინებას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1992 წლის 19 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ინსპექციის უფროსის ბატონ ბ. კუპრეიშვილის წერილი „რამდენიც კაცია, იმდენი აზრია", რომელიც შეეხებოდა სეფიეთის ეკლესიის გაძარცვის ფაქტს.

იმავე გაზეთის 257 ნომერში რუბრიკით „წერილების ექო" ზემოხსენებულ წერილზე პასუხი გასცა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრმა. „ჩვენ დაუკავშირდით აბაშის შინაგან საქმეთა განყოფილებას, — ვკითხულობთ პასუხში, — და შევიტყვეთ, რომ ეკლესია გადახურული იყო არა სპილენძის, არამედ რკინის ფურცლებით. ბოროტმოქმედების მიერ გატაცებული 4 ფურცელი უკვე შეიცვალა ახლით. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა".

საინტერესოა, რატომ მისცა ასეთი ცრუ შეტყობინება აბაშის შინაგან საქმეთა განყოფილებამ თავის ზემდგომ ორგანოს?

დანიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით **ანზორ კილაძე** დაინიშნა ლანჩხუთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ანზორ კილაძე დაიბადა 1936 წელს, დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, აქვს სამეურნეო მოღვაწეობის დიდი გამოცდილება. წლების მანძილზე იყო მთავარი აგრონომი, ჩაის ფაბრიკების დირექტორი, ლანჩხუთის ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი, აგროფირმის გენერალური დირექტორი, ლანჩხუთის რაიონის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

1992 წლის 17 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის დეპუტატად ლანჩხუთის რაიონიდან.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

საქართველო ვალში არავის დარჩება!

ლარისა ხუხულური.

ახლახან ჟურნალისტებთან შეხვედრისას ჩვენი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ჰუმანურ დახმარებაზე, რასაც გვიწევენ საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობები, საერთაშორისო და საქველმოქმედო ორგანიზაციები. სწორედ ამ საერთაშორისო ჰუმანური დახმარების არხებით მიღებულმა მედიკამენტებმა დაახლოებით 80 პროცენტით უზრუნველყო ჩვენი რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებების მუშაობა.

დავინტერესდით, მაინც რომელი ქვეყნები იჩენენ ჩვენს მიმართ ასეთ სიმპათიას და რა რაოდენობით ვიღებთ ჰუმანურ დახმარებას. ამ მიზნით, ვეწვიეთ სახელმწიფოს მეთაურის აპარატის საერთაშორისო ჰუმანური დახმარების კოორდინაციის სამსახურს, ვესაუბრეთ მის ხელმძღვანელს ქალბატონ **ნინო უზნაძეს**, მან დაგვისახელა ის ქვეყნები და ორგანიზაციები, საიდანაც ამ უკანასკნელ თვეებში მივიღეთ ჰუმანური დახმარება და ამასთანავე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დახმარება მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება, თუ რესპუბლიკაში დემოკრატიზაციის პროცესი გაგრძელდება. ეს ჩვენი პარტნიორების ძირითადი პირობაა.

შარშან ყველაზე დიდი დახმარება გაგვიწიეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და მისმა საქველმოქმედო ორგანიზაციებმა. აშშ-ის მთავრობამ გამოგვიგზავნა 100 ათასი ტონა ხორბალი, 530 ტონა ნაკრები კვების პროდუქტები, 85 ტონა რძის ფხვნილი, 1000-საწოლიანი ჰოსპიტლის აღჭურვილობა, 40 ტონა ინსულინი, აღსანიშნავია, რომ ამით მთელი რვა თვის განმავლობაში, რესპუბლიკაში დიაბეტით დაავადებულნი უზრუნველყოფილნი იყვნენ მათთვის სასიცოცხლოდ საჭირო მედიკამენტით. 65 ტონა მედიკამენტები მივიღეთ ამერიკის შეერთებული შტატების საქველმოქმედო ორგანიზაციებისაგან („ჰოუპი“, „ექტს“, „ამერიკის ჰოსპიტალთა ასოციაცია“ და ა. შ.).

დიდი დახმარება გაგვიწიეს ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებმა. მათ შემოიტანეს 2000 ტონა რძის ფხვნილი, 1500 ტონა ბავშვის საზრდო, 500 ტონა ხორცის კონსერვი, 245 ტონა დაკონსერვებული ხორცი.

დაგვეხმარა ჩვენი მეზობელი თურქეთი. ამ სახელმწიფოს მთავრობამ გამოგვიგზავნა 50 ათასი ტონა ხორბალი, 1000 ტონა სურსათი, აგრეთვე მედიკამენტები.

თანადგომა

ჰუმანური დახმარება მივიღეთ ევროპის სხვა ქვეყნებიდანაც. ბავშვთა საზრდო მოგვაწოდეს გერმანიიდან, თურქეთიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, ავსტრიიდან. მედიკამენტები — ესპანეთიდან, ავსტრიიდან, შვეიცარიიდან, შვეციიდან და ა. შ.

ჩვენს კითხვაზე, თუ როგორ ნაწილდება ჰუმანური დახმარება, ქალბატონმა ნინომ აგვიხსნა, რომ შემუშავებული აქვთ სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში ეხმარებიან ბავშვებს, სოციალურად ნაკლებად დაცულ მოქალაქეებს და მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც საომარი მდგომარეობის გამო დროებით მოწყვეტილია მუდმივ საცხოვრებელ ადგილს და ლტოლვილად იქცა.

გარდა ამისა, კომისია სურსათით ეხმარება რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებს, ბავშვთა სახლებს, მრავალშვილიან ოჯახებს, ინვალიდებს, მარტოხელა მოხუცებს.

მედიკამენტები კი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად რეგულარულად ნაწილდებათ რესპუბლიკის საავადმყოფოებს.

სულ ახლახან თურქეთიდან საქველმოქმედო ორგანიზაციამ ჰუმანური დახმარების სახით ჩამოიტანა მედიკამენტები, სურსათი და ეს ტვირთი თავიანთი მანქანებით წაიღო სამაჩაბლოში, სადაც გაუნაწილა როგორც ქართველ, ისე ოს მოსახლეობას. აღსანიშნავია, რომ ახალი წლის წინა დღეებში თურქეთის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებამ აფხაზეთის მოსახლეობას გამოუგზავნა მედიკამენტები და პროდუქტები, რომლებიც მათსავე წარმომადგენლებმა გაანაწილეს — ნახევარი გემით წაიღეს გუდაუთაში, ნახევარი კი გაუგზავნეს სოხუმის მოსახლეობას.

— **ქალბატონო ნინო, როგორია თქვენი სამომავლო გეგმა, უახლოეს ხანს თუ ველოდებით რაიმე დახმარებას?**

— 18 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების საქველმოქმედო ორგანიზაცია „ჰოუპმა“ ჩამოიტანა 20 ტონა მედიკამენტები, მისივე გადაწყვეტილებით ეს ტვირთი გაუნაწილდა თბილისის პირველ, მეხუთე სამშობიარო სახლებს, ბავშვთა, მოზარდთა ინფექციურ საავადმყოფოებს და რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს. მალე ამერიკის შეერთებული შტატებიდან მივიღებთ 2000 ტონა ბავშვთა პროდუქტს, რაც საშუალებას მოგვცემს რესპუბლიკის ორ წლამდე ასაკის ბავშვები ორი-სამი თვით უზრუნველვყოთ მათთვის საჭირო საზრდოთი, დახმარებას მედიკამენტებითა და საკვები პროდუქტებით ველით ევროპის თანამეგობრობათა ქვეყნებიდან, ესპანეთიდან, ჰოლანდიიდან.

ასე რომ, დახმარება გრძელდება. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს კეთილი ადამიანები, შემდგომ კი, თვადაც გამოვიღებთ ხელს, ვიმუშავებთ და ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო დოვლათს ჩვენვე შევქმნით.

ჩვენს გასაჭირზე

ია კალანდარიშვილი.

ცნობილია, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ხელს უწყობს სასამართლო-საგამოძიებო ორგანოებს კანონიერების აღსრულებაში. ექიმები, რომლებიც სამედიცინო საკითხებს იურიდიულ საფუძველზე წყვეტენ, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში მუშაობენ. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო მედიცინის სამეცნიერო-პრაქტიკულ რესპუბლიკურ ცენტრში. ცენტრის დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტ ზაზა ოქრუაშვილს ესაუბრება ჩვენი კორესპონდენტი.

— **ვინაიდან** ჩვენ უშუალოდ საგამოძიებო ორგანოებს ვემსახურებით და ვართ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები და უფლება-მოვალეობა განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ჩვენთან ყველა გამოსაკვლევი გვამი თუ ობიექტი შემოდის საგამოძიებო ორგანოების მომართვითა და დადგენილებებით. ამდენად, გვამების გამოკვლევისა და სხვადასხვა ნივთმტკიცებების, ასევე ცოცხალ პირთა შემოწმების დასკვნები წარედგინებათ საგამოძიებო ორგანოებს მათ მიერ დასმული საკითხებიდან გამომდინარე. ბევრს აინტერესებს არის თუ არა შიმშილით სიკვდილის შემთხვევები. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თბილისში უკანასკნელი თვეების მანძილზე გამოკვლეულ გვამთა შორის არცერთზე არ გამოგვიტანია დასკვნა, რომელიც ასახავდეს შიმშილით სიკვდილს.

დაუმარხავი მკვდრები



რაც შეეხება იმ მოქალაქეების გვამების რაოდენობას, რომლებიც უპატრონონი (მაწანწალები და მარტოხელები) არიან, ამჟამად ოცდახუთია.

უპატრონო გვამების დამარხვა რატომღაც დღემდე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი ფინანსებით ხდება. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში კი ამ საქმეს ქალაქის მუნიციპალიტეტი პატრონობს. საქართველოს ნებისმიერ კუთხეში, ქალაქი იქნება ეს, რაიონი, სოფელი თუ რაიმე სხვა დასახლება, ასეთ გვამებს ადგილობრივი მმართველობა უვლის. გაუგებარია, რატომაა თბილისი გამონაკლისი. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის ყურადღება თუ არა, და ფირმა „ჰერმესის“ მეცადინეობა, ეს პრობლემა გადაუჭრელი დარჩებოდა. ფირმა „ჰერმესის“ დირექტორის დარეჯან ბეჟუაშვილის დიდი მადლობელი ვართ. დღესაც ორხიდიანი ავტომანქანები გამოგზავნა მუხათგვერდის სასაფლაოზე გამოყოფილ ტერიტორიაზე მიცვალებულთა გადასატანად და დასამარხად.

— **ბატონო ზაზა, თქვენ დაუფარავად უცხადებთ პრეტენზიებს დედაქალაქის მერიას...**

— შემიძლია ვთქვა, რომ ეს საკითხი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, კერძოდ მინისტრის მოადგილემ ავთანდილ ჯორბენაძემ თბილისის მერიის წინაშე დააყენა ჯერ კიდევ შარშან ივნისში. მიმართვის ტექსტში მითითებული იყო, რომ ქალაქის მერიას უნდა ეთავა უპატრონო გვამების გადატანა-დამარხვა. სამწუხაროდ, პასუხად სამინისტრომ ასეთი შინაარსის წერილი მიიღო „...შეგახსენებთ, რომ ქ. თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულებები არ იმყოფებიან საქალაქო ბიუჯეტზე და ამასთანავე ქალაქში არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო ქალაქის მერია მოკლებულია ამ მიზნით თანხების გამოყოფის შესაძლებლობას“. წარმოიდგინეთ, ისიც კი არ გაარკვიეს, რომ ჩვენ რესპუბლიკური დაქვემდებარებისანი ვართ და არა თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოსი. ალბათ კომენტარი ზედმეტია... არადა, თანხა, რომელიც საჭიროა ამ საქმისათვის, დიდი არ არის და მიგვაჩნია, რომ ქალაქის მერია მას იოლად გაწვდება.

— **დღევანდელი ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამომდინარე ბევრ ოჯახს უჭირს გარდაცვლილთა რიტუალების აღსრულება.**

— სამწუხაროდ, მართალი ბრძანდებით. საერთოდ უპატრონო გვამების უმრავლესობა გადის როგორც უცნობი გვამები სახელის, გვარისა და მისამართის გარეშე. მაგრამ ბოლო ხანებში ისეთი შემთხვევები გახშირდა, რომ გარდაცვლილის ვინაობა ცნობილია, მაგრამ მაინც ჩვენი ხარჯით იმარხება. ეტყობა, ახლობლებს აღარ ძალუძთ მიცვალებულთა დასაფლავება, რაც დაკავშირებულია უამრავ ფინანსურ პრობლემასთან. წინათ მარტოხელა ადამიანს მეზობლები და ნაცნობები მარხავდნენ. დღეს კი... ხომ გაგიგონიათ, მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე მიმიყვანეო, — ისეა ჩვენი საქმე.

„ბონზაი“ თქვენს ოჯახში

ჯუჯა ხეების გამოყვანა იაპონურად



ყოველნაირი ხე, დედამიწაზე რაც ხარობს, თქვენ შეგიძლიათ იმდენად დააპატარაოთ, რომ სულ რამდენიმე კვადრატული მეტრის ფართობზე გაახაროთ იაპონური წესით, რომელსაც „ბონზაი“ ეწოდება.

ჟურნალ „საქართველოს ბუნებასთან“ არსებულ მცირე საწარმო „ბუნებას“ იაპონიიდან საჩუქრად ჩამოუტანეს ჯუჯა ხეების გამოყვანის წესების მცირე მოცულობის, უხვად დასურათებული წიგნი. მისი ტექსტი, ფოტოსურათები მკაფიოდ გვიჩვენებენ, როგორი წესით და მეთოდით ახერხებენ იაპონელები ძალზე მცირე ფართობზე საოცრად მსხმოიარე ხეხილის ბაღის გაშენებას.

წიგნს ეწოდება „ჯუჯა ხეების გამოყვანა იაპონურად“. ქართულ ენაზე თარგმნა ლალი მახოშვილმა. გამომცემელია მცირე საწარმო „ბუნება“.

ეს ჩვენი საქართველოა!

სიბერე — ჭირთა სიბევრე.

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო“).

ციტრუსების გატანამ მარშრუტი შეაჩერა

კარგა ხანია აღარ მოძრაობს სამგზავრო მატარებელი — „თბილისი-კიევი“, როგორც საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის უფროსის პირველმა მოადგილემ **ოლეგ ბიჭიაშვილმა** გვითხრა: — ამ მარშრუტის მიღებაზე უარს ამბობენ უკრაინელები. მიზეზი? ციტრუსების შემოსვლის შემდეგ მატარებელი ერთიანად გადაიტვირთა ყუთებით, რომლებიც უთავბოლოდ აწყვია ვაგონების გასასვლელებში, კუპეებში... ფულს დახარბებულ ადამიანებს გააქვთ და გააქვთ ქართულ მიწაზე მოწეული ციტრუსები... ვაგონებში ერთი ზედახორა და განუკითხაობაა, ამტვრევენ და ანადგურებენ იქაურობას... დამთავრდება ციტრუსების სეზონი და ვნახოთ, მერე რა იქნება...

გოჩა ხარატიშვილი.

ფეხსაცმლის საცხიც საჭიროა...

ზესტაფონის რაიონის შორაპანის ელემენტების ქარხანამ საშობაო არდადეგების შემდეგ მცოცავი გრაფიკით განაახლა მუშაობა.

ქარხნის კოლექტივი ახალი წლის იანვარსა და თებერვალში 1 მილიონ ცალზე მეტ ელემენტს გამოუშვებს. აქვე დამხმარე მეურნეობის სახით აითვისეს ფეხსაცმლის საცხის წარმოება. ახლო მომავალში აქ მინის ტარასაც დაამზადებენ, რაც საწარმოს საკმაოდ დიდ მოგებას მოუტანს.

ჰენრი შარიქაძე.

სიცილის შემგროვებელი

კარიკატურის სამყაროში იმოგზაურებთ, თუ ეწვევით საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზს. აქ წარმოდგენილია საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის დავით ბუზუკაშვილის მიერ 40 წლის მანძილზე შეგროვებული 2 ათასზე მეტი კარიკატურა, მეგობრული შარჟი, სატირული ნახატი. ეს ძირითადად არის საქართველოში 1890 წლიდან დღემდე გამომავალი იუმორისტულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი პუბლიკაციები.

ჯიშები გვაქვს, თუ მივხედეთ...

სელექციის მეთოდი დაედო საფუძვლად ორი ახალი ჯიშის ლიმონს, რომლებიც საქართველოს მეცნიერებმა გამოიყვანეს და უწოდეს „გურია“ და „საქართველო“. როგორც უთხრეს საქინფორმის კორესპონდენტს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ჩაქვის ფილიალში, სადაც მიმდინარეობდა ახალი ჯიშების საწარმოო გამოცდა, მათი პირველი მოსავალი აიღეს. მეცნიერთა და სპეციალისტთა პროგნოზი ციტრუსოვანთა პლანტაციების ახალმოსახლეთა ჩინებული გემოვანი და ბიოლოგიური თვისებების შესახებ დადასტურდა.

ჩვენი მთა-ბარის ამბები

„ფიროსმანის მეგობრების“ დახმარება

16 იანვარს თბილისის „ჩაის სახლში“ საერთაშორისო ასოციაცია „ფიროსმანის მეგობრებმა“ მოაწყო ცნობილი ქართველი მხატვრების ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა-აუქციონი. აუქციონზე შემოსული თანხა მოხმარდება აფხაზეთში დაღუპული ქართველი მეომრების ოჯახებს.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო

გაქცევის მცდელობა ჩაიშალა

ამ ბოლო თვეების მანძილზე უკვე მერამდენედ მოხდა გაქცევის მცდელობა ქუთაისის საგამოძიებო იზოლატორში. 16 იანვარს დაახლოებით 16 საათზე აქ დაიწყო მღელვარება, რომელმაც რამდენიმე წუთში ყველა საკანი მოიცვა. განსასჯელებმა, რომელთა შორის იმყოფებოდნენ განსაკუთრებით საშიში დანაშაულისათვის დაკავებული პირები, გაალეს საკნის კარები და ფაქტობრივად ხელთ იგდეს ციხის შიდა ნაწილი. ოპერატიული მოქმედების შედეგად, რაშიც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველომ, ინციდენტი რამდენიმე საათში იქნა აღკვეთილი. როგორც 20 იანვარს საქინფორმის კორესპონდენტს იზოლატორის ხელმძღვანელმა აცნობა, ამჟამად აქ სიმშვიდეა. აქციის ხელმძღვანელი 12 პიროვნება გამოვლენილია და მათ მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

მოსახლეობა ხელფასს, პენსიებს მიიღებს

იმის მიუხედავად, რომ რუსეთიდან ჭირჭირობით არ ჩამოსულა ნაღდი ფულის მოსალოდნელი პარტია, საქართველოში მოსახლეობა ხელფასს, პენსიებს მიიღებს. როგორც ქვეყნის ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დემურ დვალიშვილმა თქვა, ეს მოხდება სარეზერვო სახსრების ხარჯზე, რაც, რა თქმა უნდა, ქმნის გარკვეულ სიძნელეებს მუშაობაში. თავად პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ უახლოეს ხანში დადებითად გადაწყდება რუსეთის მიერ საქართველოსათვის ფულადი კრედიტის გამოყოფის საკითხი.

ვიყიდი

20 სმ-ზე მეტი სიგრძის ადამიანის თმას.

მისამართი: თბილისი, რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი, მე-2 სართული.

თმის მიმღები პუნქტი მუშაობს შაბათ-კვირას.

დაზუსტება

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 22 დეკემბრის კანონში (იხ. 1992 წლის 30 დეკემბრის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“), მეოთხე თავში, საქართველოს რესპუბლიკის კომიტეტის ნუსხაში, უნდა იკითხებოდეს — **მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტი.** საქინფორმი.

მოქალაქეებისა და საქმიანი წრეების საყურადღებოდ!

"თბილკომბანკი" "TBILCOMBANK"

გრძელდება „თბილკომბანკი“-ს მორიგი გამოშვების 3, 6, 9 თვის და 1, 2, 3 წლის ვადიანი სადეპოზიტო სერთიფიკატების რეალიზაცია შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით:

3 თვის ვადით	13%
6 თვის ვადით	28%
9 თვის ვადით	43%
1 წლის ვადით	60%
2 წლის ვადით	150%
3 წლის ვადით	260%

სადეპოზიტო სერთიფიკატი ესაა ფასიანი ქაღალდი, რომლის მეშვეობითაც თქვენ შეგიძლიათ მოახდინოთ ანგარიშსწორება, გაყიდოთ ან გადააფორმოთ. ესაა ბანკის მიერ გამოშვებული ინფლაციისაგან დაცული ახალი ფულადი საშუალება. მისი შეძენა შეგიძლიათ როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით.

სერთიფიკატების ღირებულებაა 10 000-დან 100 000 მანეთამდე.

სადეპოზიტო სერთიფიკატის ნაღდი ანგარიშით შეძენის შემთხვევაში დარიცხული პროცენტების გაცემა მოხდება **თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით**

თბილისის კომერციული ბანკი — „თბილკომბანკი“ შეიძენს მოსახლეობისაგან თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტას, ყველაზე მაღალი საბანკო კურსით:

1 ა.შ.შ. დოლარი ($) — 505 მანეთი. 1 გერმანული მარკა (Dm) — 295 მანეთი.

„თბილკომბანკი“-ს რეკვიზიტები: საკორესპონდენტო ანგარიში №700161513 საქ. ეროვნული ბანკი, მფო 522867

მისამართი: თავისუფლების მოედანი შ. დადიანის ქ. №2 (მე-3 სართული). ტელეფონები: 98-53-97, 98-47-70, 98-85-92, 98-85-93, 98-85-94.

„გეა—MS“

სტატუს-კვო არ დარღვეულა

ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა და ჰოლანდიელმა იან ტიმანმა ესპანეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის კიდევ ორი — მეხუთე და მეექვსე პარტია გაითამაშეს, რომლებიც ყაიმით დასრულდა.

ბრიტანელი დიდოსტატი ინარჩუნებს ერთქულიან უპირატესობას — 3,5:2,5.

ევროპის სტადიონებზე

გრძელდება ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები ფეხბურთში.

იტალია. ლიდერმა — „მილანმა“ მასაროს ერთადერთი გოლის წყალობით სტუმრად სძლია „ბრეშიას“ და კვლავ 8 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს — „ინტერს“.

„მილანს“ 1991 წლის ნოემბრის შემდეგ თამაში არ წაუგია. მისი დაუმარცხებელი მატჩების სერია უკვე 51 შეხვედრას შეადგენს.

ესპანეთი. სატურნირო ცხრილს სათავეში უდგანან ლა-კორუნიას „დეპორტივო“ და „ბარსელონა“, რომლებმაც მორიგ ტურში ერთნაირი ანგარიშით — 2:1 გაიმარჯვეს შესაბამისად „ოვიედოსთან“ და „ოსასუნასთან“.

მესამე ადგილზე მყოფმა მადრიდის „რეალმა“ ფრედ — 1:1 ითამაშა „ატლეტიკოსთან“.

საფრანგეთი. დაწინაურდა „მონაკო“, რომელმაც სტუმრად 2 ქულა ჩაიწერა „ნიმთან“ წარმატების შემდეგ — 1:0. გოლი კლინსმანმა გაიტანა. 1 ქულით ნაკლები მოაგროვა „ნანტმა“.

ჩოგბურთი

თბილისელებ
ბადალი არ
ჰყავდათ

თბილისი, გორი, ახ
ასეთი თანამიმდევრობით
ლდა საპრიზო ადგილები
საჭიდაო კომპლექსში დ
ბულ ქვეყნის ძიუდოისტ
რე ეროვნული პირველობ
დურ ჩათვლაში.

პირადმა ტურნირმა სა
ლოს ჩემპიონობა მოუტან
ლებს — გიორგი ვაზაგაშვ
ანატოლი ავაზნელს, თბილ
— სოსო ლიპარტელიან
შერაზადიშვილს, მევლუდ
რაძესა და ზაზა დაბრუნდ

სულ ტატამზე გამოვიდა
ნდის ასამდე ძიუდოისტი.

მარცხი პირველსავე შეხვედრაში

ავსტრალიის ღია ჩ
ტის პირველი წრე უკან
აღმოჩნდა ლელა მესხ
ქართველი ჩოგბურთელი
რტიაში დამარცხდა ფრან
ლი ტოზიასთან და მაყუ
ბში გადაინაცვლა.

მისი ბედი გაიზიარეს
ტურნირის ფავორიტებმა —
მანელმა ბორის ბეკერმა
რიკელმა ივან ლენდლმა,
ბიც უკვე გამოეთიშნენ
პრიზისთვის ბრძოლას.

ცხონება

შალვა ჩაგუნავა

გარდაიცვალა შალვა ჩაგუნავა, ქა
ლი დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი ფ
მდებელი. კინემატოგრაფისტთა რიგებს
აკლდა კინოხელოვნების ამაგდარი, უხ
რეჟისორი, რომელმაც საინტერესო ძიებ
ალსავსე დიდი შემოქმედებითი გზა გა

შალვა ჩაგუნავას შემოქმედებითი ბიოგრაფია ქართული კ
ფორმირების, ანუ ოციან წლებში იწყება. იგი მწერალთა
შირის საგზურით მოვიდა სახკინოში, ახლად ფეხადგმულ კი
ტოგრაფში და უმწიკვლოდ ემსახურა თავის საქმეს.

მან შთამომავლობას შემოუნახა ჩვენი თანამედროვეების ც
ხალი სახეები. შექმნა საქართველოს გამოჩენილ შვილთა, ცნ
მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საინტერესო კინემატ
ფიული პორტრეტები: ივანე ჯავახიშვილი და ნიკო კეცხოვ
გალაკტიონ ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი
ონიძე და მირზა გელოვანი.

დიდ სამამულო ომში შ. ჩაგუნავა ყირიმის, ამიერკავკასიის
ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტების მოქმედ არმიებში გად
ჯგუფებს ხელმძღვანელობდა, გადაიღო ფილმები „კავკასია“,
ნერალი ჩანჩიბაძე“, „არ დაიდარდო, დედაო“, „ლენინგრადი
მცველები“, „სტალინგრადის ეპოპეა“. ავტორია ასორმოცდ
მეტი დოკუმენტური ფილმისა, ხუთასამდე კინოჟურნალის
კინონარკვევისა. ჩინებულია მისი რეპორტაჟები სვანეთზე, ხ
რეთზე, თუშეთზე. ფეხით, კინოკამერით შემოიარა მთელ
საქართველო.

შ. ჩაგუნავას ბევრი სურათი წარმატებით გავიდა საკავშირ
მსოფლიო კინოეკრანებზე. 1956 წელს ვენეციაში საერთაშო
კინოფესტივალზე მისმა ფილმმა „ალაზნის ველმა“ საპატიო
ლომი და საზღვარგარეთის პრესის მაღალი შეფასება დაიმსა

„ხევსურეთი — მითის გაცოცხლება“ რეჟისორის ბოლო
შევარი ხევსურეთის, მისი სადღეისო პრობლემების ამსახველ
ნებული ნაწარმოებია.

საქართველოს ძნელბედობის ჟამს იგი დიდი შემართებით
და და ქმნიდა ძვირფას დოკუმენტურ მასალებს თავისუფალ
ქართველოს შენებისათვის.

ღვაწლმოსილ შემოქმედს ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელ
დარჩა. დასრულდა სიცოცხლე სამშობლოს სიყვარულით გუ
თებული კაცისა, რომლის დიდ ღვაწლსა და ამაგს მადლიერ
რთველი ერი სათუთად შეინახავს.

კინოკონცერნი „ქართული ფილმი“, საქართველოს
ნემატოგრაფისტთა კავშირი, კინოსტუდია „მემატი

ლერი ჭანტურია

გარდაიცვალა გალის სასურსათო კომბინატის დირექტორი
პლატონის ძე ჭანტურია.

დაიბადა 1939 წელს ქ. გალში. საშუალო სკოლის დამთავ
შემდეგ სწავლობდა თბილისის ზოოტექნიკურ ინსტიტუტში,
მიიღო ინჟინერ-ზოოტექნიკოსის სპეციალობა.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობ
იყო ყრუ-მუნჯთა საწარმოო წამოწყების, ადგილობრივი მრ
ლობის კომბინატისა და თევზის გადამამუშავებელი ქარხნის
ქტორი. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სოფელ განახ
საზოგადოებრივი მეურნეობის კოლექტივს. უკანასკნელ ხანს
ინიციატივით რაიონში აშენდა შესანიშნავი სასურსათო კომბ
რომლის დირექტორადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე, მეოჯახე და მეგო
სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული ადამიანი. წავიდა და
გვიტოვა უზომო მწუხარება და მარადიული ხსოვნა.

მეგობ

თბილისის საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტ
რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები
მწუხარებით იუწყებიან, რომ აფხაზეთში გმირულად დაიღუ
ავე ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის
დენტი

გია შიხიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია თანაუგრძნობს
ჯაფარიძეს მეუღლის

შალვა ჩაგუნავას

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვი

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღ
99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მე
ტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნი
შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლო
საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რეს
პუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრა
ციის ნომერია 0488.

ინდექსი